ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 12 – 13 ოქტომბერი, 2019

№242 (8196)

ფასი: 60 თეთრი

## მარიამ კუბლაშვილი: „თამთა თოდაძე შემთხვევის დღეს უკიდურესად ნასვამი იყო“

ილია ჯიშკარიანს 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა





გვ.5

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამა



წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# „ივანიშვილმა გენპროკურორის თანამდებობა ოპოზიციას უნდა მისცეს“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილი თბილისში ნაციონალების არც ერთ ლიდერს არ უნდა“

## „გახარია იმავე საკანში უნდა ჩასვან, რომელშიც მერაბიშვილი ზის“

ლაშა ჩხარტიშვილი: „სასაცილოა, როდესაც ივანიშვილი ვინმეს ფულის გათეთრებას სდებს ბრალად“



გვ.3

## ირაკლი ბათიაშვილმა სტრასბურის სასამართლო მოიგო

გვ.2



სახელმწიფომ მას 3.600 ევრო უნდა გადაუხადოს



გვ.2

## „კალაძე ივანიშვილს არ გადაჰყვება“

კორნელი კაკაჩია: „საზოგადოებას დაბალანსებული პარლამენტი უნდა, რაც ოპოზიციას შანსს აძლევს“

## შინაგან საქმეთა მინისტრი უნგრეთის ელჩს შეხვდა



გვ.2

## ოკუპირებულ აფხაზეთში წინააღმდეგობის მოძრაობა იქმნება



გვ.4

„ოპოზიცია პოლიტიკური ტერორისთვის მზად უნდა იყოს“

### სამართალი

გვ.5

ლერი ლომაშვილი: „ნათლული იმიტომ მოვკალი, რომ ფულს არ მიბრუნებდა და სამსახურს მართმევდა“



ხაშურში ნათია გოგალაძე ყოფილმა ქმარმა მოკლა



პოლიციამ მარნეულში მომხდარ დაჭრის ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავა





ISSN 1987-9385

2 მამუკა მდინარაძე: „ჩემს ცოლს არ უნდა, რომ 2020-ის სიაში მოვხვდე!“



4 კახა კალაძე: „არჩევნები კოალიციის გარეშე უნდა მოვიგოთ“




6 თურქეთი: „277 ქურთი ტერორისტი გავანადგურეთ“



7 ბელგიამ სან მარინო არ დაინდო, ნიდერლანდებმა ბოლოსკენ იმარჯვეს

# ირაკლი ბათიაშვილმა სტრასბურის სასამართლო მოიგო

## სახელმწიფომ მას 3.600 ევრო უნდა გადაუხადოს



სტრასბურის სასამართლომ ირაკლი ბათიაშვილის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. შესაბამის ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

საქმეზე „ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევა (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი) და სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 3.600 ევროს გადახდა დააკისრა.

„საქმე „ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ეხება მომჩივან ირაკლი ბათიაშვილის უფლებების დარღვევას სისხლის სამართალწარმოებისას, რომელიც მის მიმართ 2006 წელს დაიწყო კოდორის ხეობაში მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფების შესაძლო დახმარების გამო.

კერძოდ, 2006 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ საპოლიციო კონტროლი მოიპოვა კოდორის ხეობაზე, სადაც მოქმედებდა შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირე“. 2006 წლის ივლისში, „მონადირის“ ხელმძღვანელ ემზარ კვიციანის სატელევიზიო მიმართვის შედეგად დაიწყო გამოძიება „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 223-ე (უკანონო ფორმირების შექმნა და ხელმძღვანელობა) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) მუხლების საფუძველზე.

საგამოძიებო ორგანოებმა მოიპოვეს ემზარ კვიციანის სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის ნებართვა. მომჩივნისა და ემზარ კვიციანის სატელეფონო საუბრის ჩაწერის შედეგად ირაკლი ბათიაშვილს ბრალი წარედგინა შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტში აფხაზი სეპარატისტების მონაწილეობის თაობაზე ხელისუფლების ორგანოებისთვის შეუტყობინებლობისა და შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირის“ ხელმძღვანელისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერის გამო.

სატელევიზიო კომპანია რუსთავი 2-ისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამონტაჟებული ფორმით იქნა მიწოდებული მოცემულ ორ პირს შორის საუბარი. დამონტაჟებულ ვერსიაში, რომელიც მოცემულმა არხმა გაავრცელა, მომჩივანი და ემზარ კვიციანი მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ სთავაზობდა ემზარ კვიციანს აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფი დახმარებას. იმავე ჩანაწერის ის მონაკვეთი კი, სადაც ემზარ კვიციანი ამბობდა, რომ აფხაზებს დახმარებაზე უარი უთხრა, იქნა ამოჭრილი და არ იქნა ტელეარხის მიერ გავრცელებული. აღნიშნული დამონტაჟებული სატელეფონო საუბარი, სხვებს შორის, საფუძვლად დაედო ირაკლი ბათიაშვილისთვის 4-თვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას.

### „ჩემი ოჯახის ზარალი ვერანაირი ფულით ვერ გაიზომება“

სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ირაკლი ბათიაშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის დამონტაჟება, რაშიც სახელმწიფო უწყება იყო ჩართული, და ამ ფორმით მოცემული ჩანაწერის ტელეარხით გავრცელება ემსახურებოდა მომჩივნის დამნაშავედ წარმოჩენას მისი ბრალის სასამართლოს მიერ დადასტურებამდე, რითაც დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია.

საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები არ დარღვეულა, ხოლო საჩივრის დანარჩენი ნაწილი მიუღებლად გამოცხადდა.

* * *

11 ოქტომბერს ირაკლი ბათიაშვილმა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთა.

მან ინტერპრესნიუსს უთხრა, რომ 11 წლის განმავლობაში ელოდებოდა ამ გადაწყვეტილებას და მისთვის გაურკვეველი იყო, რატომ დასჭირდა სასამართლოს ამდენი ხანი გადაწყვეტილების მისაღებად.

ირაკლი ბათიაშვილის თქმით, სტრასბურის სასამართლოს დაცვის მხარემ უტყუარი მტკიცებულებები წარუდგინა იმის დასტურად, რომ მის საქმეზე მტკიცებულებები ფალსიფიცირებული იყო და მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი დაირღვა.

— ის ზარალი, რომელიც ჩემს ოჯახს მიადგა, მორალური, ფსიქოლოგიური, რაც გადაიტანეს, ეს ვერავითარი ფულადი ერთეულით ვერ გაიზომება. თავისთავად სტრასბურმა რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, მისასალმებელია, ძალიან მიხარია, პირდაპირ გეტყვით. იმდენი წელი გავიდა 2008 წლის შემდგომ, რომ უკვე საერთოდ რაღაცნაირ გაურკვევლობაში ვიყავი, იმდენი ხანი გაიწელა და ვფიქრობდი იმ ფაქტორებსა და მიზეზებზე, ეს რის გამო მოხდა.

იმდენად უტყუარი მტკიცებულებები გვქონდა წარდგენილი დაცვის მხარეს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემ მიმართ ადგილი ჰქონდა არასამართლიან სასამართლოს, მტკიცებულებების პირდაპირ გაყალბებასა და ფალსიფიკაციას, რომ მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, პროცესი ამდენი ხანი გაწელილიყო, — განაცხადა ბათიაშვილმა.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების დაწყების შესაძლებლობას, როგორც ირაკლი ბათიაშვილი ამბობს, ის ელოდებოდა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამიტომ არ მიმართა პროკურატურას, რათა საქმის გამოძიება დაეწყოთ.

— მქონდა ბევრი შემოთავაზება და რჩევა ჩემი მეგობრებისგან, რომ მიმემართა პროკურატურისთვის, რათა ხელახლა გამოეძიათ ჩემი საქმე და, რა თქმა უნდა, მე ყველა შემთხვევაში გავმართლდებოდი. მოხდებოდა იმ ბრალდებების მართლა გადახედვა, რომლებიც მაშინ წამიყენეს, გამოიძიებდნენ ხელახლა და გამოიკვეთებოდნენ ის დამნაშავე პირები, რომლებმაც პრაქტიკულად შეთითხნეს ჩემ წინააღმდეგ ბრალდებები. ასევე პირდაპირი ზეწოლა მოახდინეს სასამართლოზე, რათა ჩემ წინააღმდეგ ასეთი განაჩენი გამოეტანა, მაგრამ მე მინდოდა, დავლოდებოდი სტრასბურის გადაწყვეტილებას.

ახლა უკვე გზა ხსნილი მაქვს. თუ სახელმწიფომ თვითონ არ გააკეთა ეს ავტომატურად, მე მივმართავ ჩემი ადვოკატების საშუალებით, — აღნიშნა ირაკლი ბათიაშვილმა.

**იპნ**

# „კალაძე ივანიშვილს არ გადაჰყვება“

## კორნელი კაკაჩია: „საზოგადოებას დაბალანსებული პარლამენტი უნდა, რაც ოპოზიციას შანსს აძლევს“

იაგო ნაცვლიშვილი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, ბიძინა ივანიშვილს „ქართული ოცნების“ შენარჩუნება და გუნდის დამორჩილება სულ უფრო და უფრო უჭირს. ეს პროცესი უფრო მწვავედ თავს წინასაარჩევნო პროცესში, საპარლამენტო სიის შერჩევისას იჩენს.

რა პროცესებია მოსალოდნელი „ქართულ ოცნებაში“? რა კავშირშია გუნდის ერთიანობასთან ირაკლი ღარიბაშვილის „ოცნებაში“ დაბრუნება და გახარიას გაპრემიერება? რა როლი აქვს გუნდში კახა კალაძეს? რა რესურსი აქვს ოპოზიციას და მოუწევს თუ არა რადიკალიზაციისკენ წასვლა? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი, პოლიტოლოგი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

***— მედიაში ვრცელდება ასეთი ინფორმაცია, რომ ივანიშვილს უფრო და უფრო უჭირს გუნდის ერთიანობის შენარჩუნება და მათი დამორჩილება. ჩანს თუ არა ეს და გახარიას გაპრემიერებაც ამით ხომ არ აიხსნება, რომ რაღაცნაირად გუნდის შეკვრა შეძლოს?***

— არ არის გამორიცხული, რომ ეს ინფორმაცია რეალური იყოს. პრინციპში, ხელისუფლებაში ჩანს ეს, იმიტომ, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ეს პრობლემა არახალია, იქიდან გამომდინარე, რომ ეს პრობლემა მანამდეც არსებობდა, ჯერ კიდევ კვირიკაშვილის პრემიერობის დროიდან. მან ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში განაცხადა კიდეც ამის შესახებ, ფაქტობრივად უჩემოდ იღებდნენ გადაწყვეტილებას და პრაქტიკულად გარიყული ვიყავი გარკვეული დროის განმავლობაშიო. მან რეალურად აღიარა ის, რომ ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს მის აზრს. ამის გამო უკმაყოფილო იყო და ამის გამოც იყო ის, რომ გიორგი კვირიკაშვილს მოუწია პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან წასვლა.



ახლაც არ არის გამორიცხული, რომ „ქართულ ოცნებაში“ გარკვეული ჯგუფები ამას ახლაც ცდილობდნენ. პარტიიდან რაღაც ჯგუფების თუ პერსონების გამოსვლის პროცესი დაწყებულია უკვე კარგა ხანია. არიან ჯგუფები, რომლებიც ასევე ფიქრობენ, რომ 2020 წლის არჩევნები, შესაძლოა, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიგოს და მათ უჩნდებათ კითხვები — ვინ მოიგებს, როგორ მოიქცევა ახალი ხელისუფლება, რა პასუხისმგებლობას დააკისრებს ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებს თუ ასეთი სცენარი განვითარდა, იქნება თუ არა კოალიციური მთავრობა და ა.შ.

რა მოხდება, კაციშვილმა არ იცის. აქედან გამომდინარე, ყველა ცდილობს, საკუთარი ზურგი გაიმაგროს და არ ჰქონდეს პირდაპირი კავშირი ივანიშვილის მემკვიდრეობასთან. ასეთი მომენტიც არის და ამიტომ ცდილობენ, ცოტა უფრო დამოუკიდებელი პოზიციები ჰქონდეთ, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც საკმაოდ გაზრდილია ივანიშვილის როლთან დაკავშირებით კრიტიკა ქართველ საზოგადოებაში.

***— ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული მიმართულება, რაც „ქართული ოცნების“ მიმართ არის, სასამართლო და იქ მიმდინარე პროცესებია. ხომ არ იქნება სასამართლოს მიმართ გამიჯვნის პროცესი?***

— არ არის გამორიცხული. სასამართლოს საკითხი ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მარტო სასამართლოს პროცესზე არ იქნება გამიჯვნის პროცესი. კიდევ სხვა საკითხებია. მომავალი წლის არჩევნებია ასევე, სადაც საარჩევნო სიის ჩამოყალიბებაზე დაიწყეს ნელ-ნელა მუშაობა. ეს აუცილებლად გამოიწვევს რაღაც პროცესებს „ქართულ ოცნებაში“ იმიტომ, რომ იქ ამბიციები უფრო დიდია, ვიდრე შესაძლებლობები.

იქნებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ამ სიაში ვერ მოხვდებიან, ეს ჩანს უკვე. ადამიანებმა, რომლებიც გრძნობენ, რომ ვერ მოხვდებიან სიაში, შეიძლება დაიწყონ პარტიის დატოვება. ზოგი ამას ხმაურით გააკეთებს, ზოგი ალბათ უხმაუროდ წავა, მაგრამ ეს პროცესი იქნება.

***— ანუ „ქართული ოცნების“ რღვევის პროცესი გარდაუვალია?***

— რღვევა ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ დიახ, „ქართულ ოცნებას“ 2020 წლის არჩევნებში, ფაქტობრივად, ახალი გუნდი დასჭირდება. ეს იქნება სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგი დეპუტატობიდან გაუშვეს, მაგალითად, ზარდიაშვილი. ასეთი ადამიანები არ აწყობს პარტიას. ამასთანავე, არის სხვა ვარიანტები, რომ ზოგიერთ ადამიანს არ აწყობს პარტიაში ყოფნა და ამის გამო ტოვებენ პარტიას, მათ შორის სასამართლო თემების ან სხვა მიზეზების გამო.

რღვევა იმ შემთხვევაში იქნება, თუ მთლიანად ჩამოიშლება პარტია. ამაზე საუბარი წინასწარ ძალიან რთულია.

***— რა უნდა გააკეთოს ივანიშვილმა, რომ რაღაცნაირად შეაჩეროს ეს პროცესი და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გატარდეს რაღაც ცვლილებები?***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სუსის უფროსის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილი დაინიშნა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილი დაინიშნა.



აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნამდე გიგა ნიკოლეიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

მას აქვს სპეციალური წოდება — სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკი; სახელმწიფო ჯილდო — მედალი „მხედრული მამაცობისთვის“, რომელიც 1999 წელს მიიღო.

# მამუკა მდინარაძე: „ჩემს ცოლს არ უნდა, რომ 2020-ის სიაში მოვხვდე!“



გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე იმ სავარაუდო კანდიდატებს შორისაა, რომლებიც 2020 წლის „ქართული ოცნების“ სიაში ველარ მოხვდებიან.

მდინარაძე აღნიშნულს არც უარყოფს და არც ადასტურებს და აცხადებს, რომ ამას „ოცნების“ პარტიული ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

მდინარაძის თქმით, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამასთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოხატული აზრი აქვს და მისი პარლამენტში დარჩენის წინააღმდეგია, მისი მეუღლეა.

— მე ჟურნალისტებმა მათ შორის ორი დღის წინ პარლამენტიდან გამიშვეს და 2020-ის სიაში როგორ უნდა მოვხვდე?! ამას გადავწყვეტთ ჩვენ და „ქართული ოცნების“ პარტიის ხელმძღვანელობა, წინასწარ არავისზე არ შეიძლება ლაპარაკი. ერთადერთი ადამიანია, რომელსაც გამოხატული აქვს მკაფიოდ აზრი, რომ მე არ უნდა ვიყო 2020-ის სიაში, ეს არის ჩემი მეუღლე, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# შინაგან საქმეთა მინისტრი უნგრეთის ელჩს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში უნგრეთის ელჩს, ვიქტორია ჰორვატს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობასა და სამომავლო ურთიერთობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში უნგრეთის მხარის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი უკრაინის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იგორ დოლგოვს შეხვდა.

ვახტანგ გომელაურმა ელჩთან შეხვედრაზე ხაზი გაუსვა უკრაინასთან, როგორც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან, არსებულ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებს და ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ორმხრივ და რეგიონულ ფორმატში მხარეთა შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე.

ვახტანგ გომელაურმა ელჩს მადლობა გადაუხადა უკრაინელი კოლეგის მიერ თანამდებობაზე დანიშვნის ოფიციალური მოლოცვისთვის და უახლოეს მომავალში ვიზიტის დაგეგმვისთვის მზაობა გამოთქვა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 294-02-55
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლეჟავაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია იმავე საკანში უნდა ჩასვან, რომელშიც მერაბიშვილი ზის“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „სასაცილოა, როდესაც ივანიშვილი ვინმეს ფულის გათეთრებას სდებს ბრალად“

ნონა ცაბაძე

ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **ლაშა ჩხარტიშვილი** პასუხობს.

***— ბატონო ლაშა, ბიძინა ივანიშვილს ძალიან ეშინია მესამე პოლიტიკური ძალის გამოჩენის და ის პოლიტიკურ ველს სრულად ასუფთავებს. ამას ბევრი ექსპერტი და პოლიტიკოსი ამბობს. რას იტყვით თქვენ?***

— რაც შეეხება ივანიშვილის შიშებსა და საქციელს, როგორც მოსალოდნელი იყო, ის ბოლომდე ჩაიხრჩო კორუფციისა და სამშობლოს ღალატის მორევში. აქედან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება, ცდილობს პოლიციურ-მილიციური რეჟიმის გამყარებას. მისი მსგავსი მრავალი ქმედება ვნახეთ.

***— ახალ ძალებზე რას იტყვით?***

— აქ ახალში არ არის საქმე, მითიური ეფექტის საკითხი, მით უმეტეს, თუ ზოგი მოძველებული მევახშე და ბანკირია და ზოგიც — მოძველებული ჩინოვნიკი, მე ამაში სიახლეს ნამდვილად ვერ ვხედავ.

ამის მიუხედავად, ივანიშვილი ნებისმიერ პოლიტიკურ ოპონენტს ებრძვის, თუმცა, რაც უფრო სუფთა წარსული აქვს პოლიტიკოსს, მით უფრო არასასურველია ივანიშვილისთვის.

უკვე 7-8 წელია, ივანიშვილი ამ მოსუფთავება-გაკრეფის პოლიტიკით არის დაკავებული. თავიდანვე ჩანდა, მისი მოსვლის დღიდანვე, როცა ის შუის გაკრეფაზე საუბრობდა, რომ ამ ტაქტიკით მოქმედებას აპირებდა. სამწუხაროდ, მას შუის გაკრეფის ტაქტიკამ გაუმართლა ნაწილობრივ, მაგრამ, იმედი მაქვს, მან ამოწურა ეს რესურსი.

ახალ ძალებს ივანიშვილი გასაქანს არ აძლევს, ზოგს ფულის გათეთრების ბრალდებით იბარებს პროკურატურაში და ზოგს გადატრიალების მცდელობის გამო აპატიმრებს. სასაცილოა, როდესაც ივანიშვილი ვინმეს ფულის გათეთრებას სდებს ბრალად.

***— ხაზარაძე-ჯაფარიძეს გულისხმობთ?***

— დიახ და ეს ადამიანები მთელი 7 წელი მეგობრობდნენ ივანიშვილთან, უფრო მეტიც, ერთად ყვლეფდნენ საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო 7 წლის თავზე რაღაც ვერ გაიყვეს და ხელი შეუშალეს ერთმანეთს. ახლა ვინმეს წარსულზე საუბარი დაუსაბუთებლად და თან ივანიშვილისგან ვინმეს ფულის გათეთრებაზე საუბარი სამარცხვინოა.

***— რატომ არის სამარცხვინო, იქნებ მართლა გაათეთრეს?***

— ივანიშვილისგან ეს არის სამარცხვინო. მთავარი პანამელი ინვესტორი გვყავს, სახელად ბიძინა და გვარად ივანიშვილი. ოფშორების კაცი ლაპარაკობს ვინმეს მხრიდან ფულის გათეთრებაზე.

***— რას ფიქრობთ ხაზარაძის ახალ პოლიტიკურ მოძრაობაზე?***

— დიდი სიმპათიით ნამდვილად არ ვარ განწყობილი ხაზარაძის მიმართ, მაგრამ ივანიშვილის მხრიდან მის მიმართ მართლაც ხორციელდება პოლიტიკური დევნა. რადგან არცთუ მომხიბლავი წარსული აქვს ხაზარაძეს, ივანიშვილიც ფიქრობს, რომ ამ დევნას მარტივად განახორციელებს.

ამ უკანონო დევნასა და უკანონო დაპატიმრებებზე სოლიდარობა დღეს ყველას ეკუთვნის, მისი წარსულის მიუხედავად, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ გვყავს ქვეყანაში მთავარი ქურდი, მთავარი მაფიოზი, მთავარი გამთეთრებელი, მთავარი მკვლელი ბიძინა ივანიშვილი და მისი დაკვეთით დასაჭერი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ მისი ყოფილი პარტნიორები ამ ქვეყანაში ნამდვილად არ არიან.

***— რამდენად სერიოზულად განიხილავთ ხაზარაძის პოლიტიკურ ძალას?***

— ხაზარაძის რამე პოლიტიკურ სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან მე მისი ცოცხალი ამომრჩეველი ჯერჯერობით არ მინახავს, თუმცა მას აქვს ფინანსური რესურსი და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ოპონენტი პრობლემაა ივანიშვილისთვის, მით უმეტეს — ფინანსურად ძლიერი ოპონენტი.



რაც შეგვეხება ჩვენ, ლეიბორისტულ პარტიას, არ დაგვკლებია დევნა არც ერთი ხელისუფლების პირობებში, თუმცა ივანიშვილი ჩვენთან მიმართებით იმდენს ვერ ბედავს, რასაც ბედავს სხვა საეჭვო წარსულის მქონე ადამიანებთან მიმართებით.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ხაზარაძეს საეჭვო წარსული აქვს?***

— ამის მიუხედავად, ვამბობ ხაზგასმით, სოლიდარობა და მხარდაჭერა ყველას სჭირდება, რადგან ივანიშვილი ყველას ებრძვის. ყველას თავის ადგილი აქვს პოლიტიკურ ველზე, თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ შეიძლება ჰყავდეს ამომრჩეველი ხაზარაძეს ან თუნდაც ნაცმოძრაობას.

ყველას აქვს თავისი ადგილი პოლიტიკაში და რეალური ოპოზიციაც გამოჩნდება, ვინ არის.

სამართლიანობის აღდგენა ძალიან დაგვიანებულია. ამის უფლება ივანიშვილს აღარ აქვს. სამართლიანობა უნდა აღადგინოს მომავალმა მრავალპარტიულმა პარლამენტმა და კოალიციურმა მთავრობამ.

ჩვენ ყველა სისტემაში პირდაპირ არჩევნების მომხრეები ვართ. ხალხის მიერ უნდა იყოს არჩეული სასამართლოც, პროკურატურაც და მან უნდა გაასამართლოს და გვერდიგვერდ საკნებში მიუჩინოს ადგილი გახარიასა და მერაბიშვილს.

***— მერაბიშვილი ასრულებს პატიმრობის ვადას თებერვალში.***

— თუ მანამდე დაასრულებს მერაბიშვილი პატიმრობის ვადას, ზუსტად იმავე საკანში უნდა ჩასვან გახარია, რომელშიც მერაბიშვილი ზის. რა მნიშვნელობა აქვს, თვალებს სააკაშვილი და მერაბიშვილი დაგვთხრიან თუ ივანიშვილი და გახარია.

მრავალი ფსევდოპარტია შეიქმნება ამ ახალი სისტემიდან გამომდინარე.

***— ეს სისტემა ისევ ივანიშვილს აწყობს და სწორედ ის მოითბობს ხელს და კოალიციაში შევა ამ წვრილ პარტიებთან.***

— ნულოვანი ბარიერი არის ივანიშვილის მცდელობა, რომ მდგომარეობა ცოტა მაინც გაიუმჯობესოს, მაგრამ ეს ვერ დაეხმარება. პროპორციული სისტემა ნამდვილად არის ქართველი ხალხის მონაპოვარი და ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ივანიშვილი ნამდვილად შეეცდება, წვრილწვრილი პარტიები შექმნას საკუთარი წიაღიდან, ზოგიც გარედან იყიდოს, მაგრამ ის უმრავლესობაში ველარ მოვა. არჩევნებამდე ქვეყანა გვაქვს დასაცავი, ჩვენი საზოგადოება უნდა დავიცვათ. ხომ ხედავთ, რა ხდება. კრიმინალებთან ერთად უკვე პოლიციაც იტაცებს ადამიანებს, ხოცავენ და წყალში ყრიან.

არჩევნებამდე ყოველდღე ბრძოლაა საჭირო და, როცა არჩევნების დღე მოვა, ყველა უნდა მივიდეს არჩევნებზე და ხმა არ მისცეს ივანიშვილს. სახლში დარჩენა ივანიშვილის მხარდაჭერას ნიშნავს.

ოლიგარქებისა და მსხვილი ბიზნესმენებისთვის მხარდაჭერა ქვეყნისთვის ახალ ივანიშვილს ნიშნავს. ამომრჩეველმა ესეც კარგად უნდა იცოდეს.

# „კალაძე ივანიშვილს არ გადაჰყვება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

— აქეთკენ არის მიმართული გუნდში ღარიბაშვილის დაბრუნება, ასევე გახარიას გაპრემიერება, რაც თქვენც ახსენეთ. ივანიშვილი ამ ხალხს ენდობა და მიაჩნია, რომ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, შეკრან პარტია და ასევე შემოირიგონ განაწყენებული ამომრჩეველი, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ ბოლო პერიოდში ზურგი აქციეს.

***— კალაძის როლს სად ხედავთ?***

— კალაძე ჯერჯერობით ავტონომიურობას ინარჩუნებს. რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, არავინ იცის. თუ კალაძემ შეამჩნია, რომ პარტიის რღვევა დაიწყო, არ არის გამორიცხული, მომავალში თავად შექმნას პოლიტიკური პარტია. მას მერიაში ჰყავს თავისი გუნდი, თავისი მრჩევლები და, ფაქტობრივად, ჩანს, რომ ხვალ თუ მათი გზები გაიყოფა, ექნება იმის ამბიცია, რომ საკუთარი პარტია ჩამოაყალიბოს იმ ხალხისგან, რომელიც მის ორბიტაში ტრიალებს. ჯერჯერობით არა მგონია, რომ ეს დაგეგმოს, მაგრამ მომავალში შესაძლებელია.

***— ანუ 2020-ის არჩევნებზე არ ელოდებით?***

— არა, ამ არჩევნებზე არა მგონია, თუმცა სიტუაციას გააჩნია. თუ „ქართული ოცნების“ რღვევა დაიწყო, მაშინ, შესაძლოა, დროზე ადრე მოუხდეს ამ ნაბიჯის გადადგმა, იმიტომ, რომ ნამდვილად არ გადაჰყვება ივანიშვილს, თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკმაოდ დადებითი იმიჯი აქვს საზოგადოებაში და ესეც იქონიებს გარკვეულ გავლენას.

***— თუმცა ტაქსების რეგულაციების შემდეგ მისი იმიჯი დაზიანდა.***

— კი, მაგრამ, „ქართული ოცნების“ წევრებთან შედარებით, კარგი იმიჯი აქვს და არ უნდა, რომ მისი დადებითი იმიჯი რაღაცნაირად დაუკავშირდეს „ქართული ოცნების“ ნეგატიურ იმიჯს. ბუნებრივია, ის ეცდება, რაღაცნაირად დამოუკიდებლობა და ავტონომია ჰქონდეს „ქართული ოცნების“ შიგნით.

***— ალბათ „ოცნებაც“ ხვდება რეალობას, რომ გაუჭირდება უმრავლესობის შექმნა. ამ ფონზე ხომ არ ეცდება, პატარ-პატარა პარტიებისგან შეაკოწიწოს კოალიცია, მათ შორის „ოცნებიდან“ გასული წევრების პარტიებისგანაც?***

— კი, ეს გამორიცხული ნამდვილად არ არის, მაგრამ, ისიც არ არის გამორიცხული, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საერთოდ ვერ შეაგროვოს უმრავლესობა და უმრავლესობა სხვა პარტიებმა შექმნან. ამის წინასწარ ვარაუდი არ შეგვიძლია. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება, როგორი განწყობა ექნება ქართველ ამომრჩეველს და როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში.

***— ოპოზიციის რესურსს რაში ხედავთ? ცოტა მეტი რადიკალიზაციისკენ ხომ არ მოუწევთ წასვლა სასურველი შედეგის მისაღწევად?***

— არ ვიცი. საზოგადოებაში რადიკალიზაციაზე დიდი მოთხოვნა არ არის, იმიტომ რომ, ცოტა არ იყოს, ხალხი დაიღალა ამ რადიკალური რაღაცებით და, ასე თუ ისე, რადიკალიზაცია დაკავშირებულია სააკაშვილთან. შეიძლება ითქვას, რომ ამისი აპეტიტი არ არსებობს.

ოპოზიციის ქმედებებში ახალი ხედვები და სტრატეგიები არ იკვეთება, მაგრამ, ფაქტია, საზოგადოების რაღაც ნაწილს სურს, უფრო მეტად დაბალანსებული პარლამენტი მივიღოთ, არა იმიტომ, რომ ოპოზიციაზე ეკეტება ჭკუა, არამედ იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მისცეს საშუალება, ჩამოაყალიბოს უმრავლესობა.

ეს შანსს უტოვებს ოპოზიციურ ძალებს, მით უმეტეს, თუ პარლამენტში შევლენ და იქ კოალიციას შექმნიან. არ არის გამორიცხული, სწორედ ასეთი სცენარი ვიხილოთ.

არის მეორე ვარიანტიც, რომ თვითონ „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხოს უმრავლესობის შეგროვება.

ამ ეტაპზე ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

# „ივანიშვილმა გენპროკურორის თანამდებობა ოპოზიციას უნდა მისცეს“

## სოსო ცინცაძე: „სააკაშვილი თბილისში ნაციონალების არც ერთ ლიდერს არ უნდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ხელისუფლებისთვის 2020 წლის არჩევნების მოგება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. თქვენც ასე განიხილავთ?***

— „ქართული ოცნება“ ისეთ ჩიხშია შესული, სადაც დამარცხება არ შეუძლია. არათუ არ დათმობს, ვერ დათმობს. მართლაც ეს იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ეს არ არის არც ამერიკა და არც ევროპა, სადაც ერთხელ დამარცხდები და მეორედ მოიგებ.

საქართველოში არჩევნებში დამარცხება მხოლოდ დამარცხება არ არის. ჩვენ არ გვაქვს, ერთი მაგალითის გარდა, რომელიც 2012 წელს იყო, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა.

დღეს „ქართული ოცნების“ არათუ რიგით წევრებს, არათუ ბიძინა ივანიშვილს, სამინისტროს რიგით ჩინოვნიკსაც კი აქვს დასაკარგი.

2012 წელს ნაციონალური მოძრაობის შუა და ქვემო რგოლს იმდენი არ ჰქონდა დასაკარგი, რამდენიც დღეს აქვს „ქართული ოცნების“ რიგით წევრს, რიგით მხარდამჭერსაც კი, მთელ ვერტიკალს. ამიტომ ვერ დათმობს. შექსპირისეული ტრაგიკომიკური სურათია.

***— ვერ დათმობს, მაგრამ ამომრჩევლის ნების წინააღმდეგ წავა? თუ რადგან რეალური ალტერნატივა არ ჩანს და ამომრჩევლის განწყობებიც გასაგებია, ეს იქნება კვლავ კოზირად გამოყენებული?***

— დიახ, სავსებით სწორი ანალიზია. ოპოზიცია არაეფექტურია. ოპოზიციამ ვერ შეძლო მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალური დღის წესრიგის გაერთიანება. ოპოზიციას მხოლოდ პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს და სოციალური გვერდით რჩება, არადა, რიგითი ადამიანისთვის მთავარია, როგორ აჭამოს შვილს პური, როგორ იყიდოს წამალი. მოსახლეობას, მილიონ ადამიანს სოციალური პრობლემა აქვს და არა — პოლიტიკური.



ოპოზიცია კი ის არის, ვინც დაარწმუნებს ამომრჩეველს, რომ ის უკეთესად შეძლებს სოციალური პრობლემების გადაჭრას. ბანკირებს რომ პრობლემები ექმნებათ, ტელევიზიები რომ იხურება, ეს მასებს აბსოლუტურად არ აწუხებთ, იმდენი საკუთარი პრობლემა აქვთ. ეს პრობლემა სანამ ოპოზიციის პრობლემად არ იქცევა და ოპოზიციის დღის წესრიგში არ დადგება, მანამდე ის მათ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს. ამას ვერ აცნობიერებს დღეს ოპოზიცია.

თუ რიგითი ამომრჩეველი ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ ვერ დათმობს, რატომ ვერ ხვდება ამას ოპოზიცია, რატომ არ ცდილობს, უფრო კრეატიული, უფრო მიმზიდველი გახდეს მასებისთვის?!

რაც ახლა ერთმანეთში დაიწყო გარჩევები მიხეილ სააკაშვილსა და „ევროპულ საქართველოს“ შორის, ყველაფერი ნათელია.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ ჭკვიანი ოპოზიციისთვის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური უნდა იყოს მაგალითი და სამოქმედო გეგმა, თუმცა აქვე არ შემიძლია, პირადად ივანიშვილის პოლიტიკურ შეცდომაზე არ ვთქვა. როგორ შეცდა, როდესაც პრეზიდენტის პოსტი არ დაუთმო ოპოზიციას, გრიგოლ ვაშაძეს. მთელ ამ კრიტიკას (რბილად რომ ვთქვა) ხომ აიცილებდა და ყველა წყევლას ხომ ვაშაძეს აჰკიდებდა.

რა, ვაშაძე ტერიტორიებს დაიბრუნებდა, აზერბაიჯანთან გადაჭრიდა დავითგარეჯის საკითხს, ბორდერიზაციას შეაჩერებდა, ნატოში შეგვიყვანდა თუ რას იზამდა?! ივანიშვილის მხრიდან ეს იქნებოდა პოლიტიკურად ჭკვიანური და გააზრებული გზა, თუნდაც ქვეყნის გარეთ იქნებოდა ასე აღქმული.

***— ერთი, რასაც ვაშაძე ნამდვილად იზამდა, ეს იქნებოდა წინა ხელისუფლების წევრების შეწყალება.***

— გამორიცხულია! მე სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ ნაციონალების დღევანდელ ლიდერებში არავის უნდა სააკაშვილი თბილისში. სააკაშვილი სულ სხვა დონის პოლიტიკოსია.

***— ნიკა მელიას განცხადებები, არ გავჩერდებიო, წინასაარჩევნოდ გაკეთებული პიარის ნაწილია?***

— ეს არაფერი არ არის. ნიკა მელიას ვერც იჭერენ, რადგან არანაირი მტკიცებულება არ აქვთ და ვერც ხსნიან იმ სამაჯურს.

***— ვანო ზარდიაშვილმა დეპუტატის მანდატი დატოვა. ამბობენ, რომ კიდევ რამდენიმე წავა. ახალ სახეებს ელოდებით?***

— რა თქმა უნდა! ძველ ტიკჭორებში ახალ ღვინოს ჩაასხამენ. „ქართული ოცნების“ დღევანდელი საპარლამენტო შემადგენლობის დაახლოებით 60% აღარ იქნება ახალი მოწვევის პარლამენტში. ხომ სრულიად ნათელია, ვინ შეიძლება, ამ 60%-ში მოყვეს?! მათი ბოლო დეპუტატობაა. მათ უკვე შეუძლიათ, ახალი სამსახურის ძებნა დაიწყონ.

***— შეგიძლიათ, დაასახელოთ?***

— ვინც ვერ გაუმართლა ბიძინა ივანიშვილს და, ხომ გასაგებია, ვისზეა საუბარი. როგორ გგონიათ, ზარდიაშვილმა გაუმართლა?! შეიძლება, გარკვეული დავალება ჰქონდა, მაგრამ იმ დავალების შემსრულებლადაც ვერ გამოდგა.

ძალიან დიდი სვლა იქნება ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, თუ გენერალური პროკურორის ადგილი ვაკანტური რომ გახდება, მას ოპოზიციას შესთავაზებს.

***— ასეთ ნაბიჯს ელოდებით?***

— არა, რა თქმა უნდა! ძალიან ძლიერი და ჭკვიანური პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა ივანიშვილის მხრიდან, თუ თადუმაძე უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებს, მაშინ მთავარი პროკურორის პოზიცია მისცეს ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს. იმას, ვისაც ხალხი ნდობას გამოუცხადებს.

ეს ძალიან კარგი იქნებოდა, მით უფრო, არჩევნების წინ. ეს იქნებოდა ძლიერი გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც და ჩვენი ამომრჩევლისთვისაც.

მერწმუნეთ, ეს სულ სხვა დონის პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა. მაშინ ოპოზიციასაც სხვა დონის თამაში მოუწევდა უკვე წინასაარჩევნოდ.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# „მოსამართლეთა ბანდა, შესაძლოა, ერთ დღეში დაიშალოს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი მიმდინარეობს. „ახალ თაობას“ უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **თამარ ლალიაშვილი** ესაუბრა.

***— ქალბატონო თამარ, პარლამენტში მიმდინარეობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება. კონკურსში თქვენც მონაწილეობდით, თქვენ ხართ კვალიფიციური იურისტი, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, რომელიც უკანონოდ გამოგიშვეს, რაც სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებით დასტურდება. რატომ ვერ მოხვდით პარლამენტში წარდგენილ სიაში?***

— იუსტიციის საბჭოს მიერ შედგენილ სიაში ვერც მოვხვდებოდი, დარწმუნებულიც ვიყავი შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე. მეორე ტურში სამი ხმით გადავედი. ანა დოლიძემ, ნაზი ჯანეზაშვილმა და ირმა გელაშვილმა მომცეს ხმა. სხვებმა არც ადრე მომცეს ხმა და არც ბოლო ეტაპზე, რადგან არის კლანი.

***— ხომ შეიძლებოდა, საზოგადოების დასანახად მაინც მოსამართლეობის კანდიდატად წარედგინეთ თქვენ, რომელიც იყავით სააკაშვილის რეპრესიის მსხვერპლი?***

— სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს ჩემთვის წინასწარ იყო ცნობილი. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც შევხვდი. ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, ჩემი საქმე უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში რომ განიხილებოდა, იქ პირდაპირ განაცხადეს ამის თაობაზე. ამდენად, წინასწარ ძალიან კარგად ვიცოდი, რასაც გააკეთებდნენ. ამით მათ კიდევ ერთხელ დაანახეს საზოგადოებას, რომ სასამართლოში არის კლანი, არ აინტერესებთ არც კვალიფიკაცია და არც რეპუტაცია.

***— პარლამენტში კანდიდატებთან გასაუბრებების შემდეგ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— კანდიდატებად შერჩეული ერთგულების მიხედვით. ერთსაც ვერ გამოყოფ, რომელიც მათი ხაზის გამტარებელი არ არის. საზოგადოება ელოდებოდა, რომ რამდენიმე ისეთ ადამიანს მაინც გაიყვანდნენ, რომელთა რეპუტაცია ეჭვს არ გამოიწვევდა.

***— მაგალითად, ვინ იმსახურებდა და კიდევ არ გადაიყვანეს?***

— მაგალითად, ნუნუ კვანტალიანი. კონკურსში კიდევ მონაწილეობდნენ ისეთები, რომლებიც იმსახურებდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობას. მათ აქვთ პოლიტიკა, ჩვენ ვჭრით, ჩვენ ვკერავთ და ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერსო. ისინი გარიგებული არიან პარლამენტთან. ეს ღია გასაუბრებების დროს აშკარად ჩანს.



კლანი გარიგებულია ხელისუფლებასთან, იმ პარტიასთან, რომელიც მართავს ქვეყანას. ნახეთ, როგორი კავშირია. ხელისუფლების ყველა შტო ერთპარტიულია. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი პარტიის ლიდერები არიან წარმოდგენილი და პოლიტიკოსებად გვევლინებიან, რაც კომპარტიას მაგონებს.

სასამართლოც მათთან შევიდა გარიგებაში, ვითომ დამოუკიდებელი იყო, მაგრამ რეალურად ახლა ერთად არიან აკინძული. ეს თვითონ მმართველი პარტიის წევრებმა გამოიტანეს გარეთ — ივანიშვილი ამბობდა, წინ არჩევნები გვაქვს და ამ ხალხით უნდა გავიდეთო. ამას ხელისუფლება და პარლამენტი ჰქვია?

***— პარლამენტში ვერც ერთ კანდიდატს ვერ შეაფასებინეს წინა ხელისუფლება. როგორ ფიქრობთ, რატომ?***

— არ იტყვიან. წინა ხელისუფლება რომ დაბრუნდეს, შემდეგ მათ მოემსახურებიან, ანუ არ ჭრიან იმ ტოტს, რომელზეც სხედან. რეჟიმი რომ შეიცვალოს, იტყვიან, ჩვენ თქვენ არ გაგვიკრიტიკებიხართო. გააგრძელებენ მათთან თანამშრომლობას. ამის გამოცდილება აქვთ.

***— ყველაზე მეტად განმაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა სურთ ქვეყანაში არსებული ძალიან მაღალი თანამდებობის პირებს, გენერალურ პროკურორსა და მის მოადგილეს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.***

— იმიტომ, რომ დანაშაული აქვთ ჩადენილი.

***— თანაც ვერ ავლენენ მაღალი კლასის იურისტების კვალიფიკაციას. რასთან გვაქვს საქმე?***

— ისინი იყვნენ და არიან ხელისუფლების მიერ ძალაუფლებამიცემული პირები და მათი ნების აღმსრულებლები. სულაც არ სჭირდებოდათ დიპლომები, დანიშნეს უდიპლომოდ. რად უნდოდათ კვალიფიკაცია და განათლება. რომელი ერთი მოვიდა თავისი ცოდნით, გამოცდილებით, კვალიფიკაციითა და ბრძოლით? არც ერთი. ვიღაცა ვიღაცასთან თანამშრომლობდა, მეგობრობდა, მას აქებდა, ადიდებდა და მის დავალებებს ასრულებდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თავაძე ადეიშვილის მოადგილე იყო. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოში დანიშნეს თამარ ცაბუტაშვილი, რომელიც ზურაბ ადეიშვილის ძმის მეგობარი გახლდათ. ასე მოვიდა ბევრი ადამიანი ხელისუფლებაშიც და სასამართლოშიც. ახლა უკვირთ, ადამიანებმა წინააღმდეგობა რომ გასწიეს და სააშკარაოზე გამოვიდნენ. საზოგადოება ამას უყურებს და აფასებს.

***— მეგონა, საქართველოს ძალიან მაღალი კვალიფიკაციის იურისტთა საზოგადოება ჰყავდა.***

— საქართველოს მაღალი კვალიფიკაციის იურისტთა საზოგადოება ჰყავს. ძალიან ბევრი კარგი იურისტია, მაგრამ მაღალ თანამდებობებზე კარგი იურისტები კი არა, კარგი შემსრულებლები ხვდებიან.

***— კაცმა რომ თქვას, გენერალურ პროკურორს რატომ უნდა უნდოდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა, თუნდაც თავმჯდომარეობა?***

— მაღალი ხელფასი და მშვიდი გარემოა. მშვიდად იქნება, საქმეს ის არ დაიწერს, უცხოეთში მივლინებებით ივლის. მთავარი პროკურორის საქმიანობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა, თანაც გამოცდილება არ აქვს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, უბრალოდ, მითითებას გადასცემს. იგივე განმეორდება, რაც წინა რეჟიმის დროს იყო, თუ 2020 წელს ხელისუფლება არ შეიცვალა. იმედია, საზოგადოება შეცვლის.

***— 2020 წელს ხელისუფლების ცვლილება რომ მოხდეს, მოსამართლეები უკვე უვადოდ დანიშნულები არიან.***

— შეიძლება ისეთი პირების პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც პირდაპირ დანაშაულს ჩადიოდნენ. მერე უკვე სხვანაირი მიდგომა იქნება.

***— გენერალურ პროკურორს რა დანაშაული აქვს ჩადენილი? დიდი ხანი არ არის, რაც თადუმაძე მთავარ პროკურორად დაინიშნა.***

— თუნდაც ის, რომ ყალბი დიპლომი აქვს. ყალბი დიპლომის ქონა დანაშაული არ არის? თადუმაძემ არ იცის, რომ ყველაფერს ყალბი დიპლომით აკეთებს?

***— აშკარად ჩანს, რომ ყალბი დიპლომია?***

— უნივერსიტეტი დაარსდა 1994 წელს, თადუმაძე კი 1993 წელს არის ჩარიცხული. რანაირად შეიძლება, ყალბი არ იყოს. აბა, ამას რა ჰქვია?

***— ექსტერნად ჩავაბარეო.***

— სად არის დამადასტურებელი დოკუმენტი, ექსტერნად თუ ჩააბარა? დოკუმენტი რომ ჰქონოდა, აქამდე გამოფენდა.

***— მთავარ პროკურორად რომ ინიშნებოდა, მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა?***

— მაშინაც იყო ამაზე საუბარი, მაგრამ საკითხი მწვავედ არ დამდგარა. ახლა პირობები გაუარესდა და, შესაბამისად, საზოგადოებაც გააქტიურდა.

***— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პასუხებიდან გამომდინარე, აღარ მიკვირს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათ შორის, მარიხუანის, ნარკოტიკების შესახებ.***

— ეჭვი მაქვს, მოსამართლეები გარიგებით არიან დანიშნული ამ თანამდებობებზე და, შესაბამისად, იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ბინძური გარიგების შედეგია.

***— თქვენ არ გაგიჭირდებოდათ წინა რეჟიმი შეფასება.***

— რა რეჟიმიც იყო 2012 წლამდე, იმ რეჟიმის საქმიანობა პატარა განსხვავებებით დღესაც გრძელდება. მაშინ იმ რეჟიმს მართავდა ერთი კაცი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ერქვა. სახელისუფლებო შტოებში უამრავი ხალხი ასრულებდა მის დავალებებს, ახლაც ერთი კაცი მართავს. მას ივანიშვილი ჰქვია და მის დავალებებს ასრულებენ. ამ პიროვნებებს ხელისუფლებები აქვთ ჯიბეში ჩადებული, სამწუხაროდ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასე თუ მოხდებოდა.

***— მოსამართლეები აცხადებენ, რომ სასამართლო ახლა უფრო ძლიერია ინსტიტუციურად.***

— სასამართლო არ არის ძლიერი. ივანიშვილის იმედი რომ არ ჰქონდეთ, ბანდა ერთ დღეში დაიშლებოდა.

***— ჩვენ ვნახეთ, როგორ იცავდნენ ისინი თავიანთ უფლებებს, სკამს.***

— ისინი თავიანთ უფლებებს არ იცავდნენ. თავიანთ უფლებებს კი არა, მურუსიძის ინტერესებს იცავდნენ. მურუსიძესთან ერთად დგანან იმ ჭაობში, რომელიც არის სასამართლოში და ერთად ჩაიძირებიან. თითქოს ამოვიდნენ იმ ჭაობიდან, მაგრამ, ხომ ნახეთ, რა საბუთები დაუდეს და რა აქვთ ნაკეთები. იუსტიციის საბჭოში ევა გოცირიძეს ხმა რომ არ მიეცა, დღეს მურუსიძე არ იქნებოდა. ამის შემდეგ ევა გოცირიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის სავარძელი მიიღო.

***— როგორ დაიშლებოდა?***

— თვითონვე წავიდოდნენ თავიანთი განცხადებით. ხომ იციან, რა აქვთ ნაკეთები. მურუსიძე და ჩინჩალაძე პირდაპირ შევიდნენ გარიგებაში, უთხრეს, ჩვენ შევასრულებთ თქვენს მითითებებს, მოსამართლეების 70% ხელთ გვყავს, თქვენი ინტერესი სადაც იქნება, შევასრულებთო. დანარჩენში თავისუფლები არიან და, რაც უნდათ, იმას აკეთებენ.

## ლევან გოგიჩაიშვილი: „ნუ გეშინიათ, სააკაშვილი ვერ დაბრუნდება“



„როცა საუბრობდით, რომ იყო დემოკრატია ქვეყანაში, მგონი, მარტო თქვენ გგონიათ და „ნაციონალურ მოძრაობას“, სააკაშვილი რომ ამბობს დავბრუნდებიო, დაბრუნდება. ნუ გეშინიათ, სააკაშვილი ვერ დაბრუნდება, თუ დაბრუნდება წავა „იქ“, — ასე მიმართა იურიდიული კომიტეტის სხდომაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს, ვლადიმერ კაკაბაძეს, პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

ლევან გოგიჩაიშვილის ეს რეპლიკა ვლადიმერ კაკაბაძის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც თქვა, რომ გასულ წლებში ქვეყანაში დემოკრატია იყო.

გარდა ამისა, ლევან გოგიჩაიშვილი დაინტერესდა, ეთანხმება თუ არა მთავარი პროკურორისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შალვა თადუმაძის განცხადებას გასულ წლებში ზონდერ-მოსამართლეების არსებობასთან დაკავშირებით. ვლადიმერ კაკაბაძემ თქვა, რომ ამ განცხადებას არ ეთანხმება.

**გურიის მოამბე**

## კახა კალაძე: „არჩევნები კოალიციის გარეშე უნდა მოვიგოთ“



პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივნის კახა კალაძის განცხადებით, 2020 წლის არჩევნებისთვის პარტიის ამოცანა კოალიციის გარეშე არჩევნების მოგება იქნება.

ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ახალი საარჩევნო სისტემა იძლევა შესაძლებლობას, რომ 2020 წელს პარლამენტში ბევრი პარტია შევიდეს.

— მგონია, რომ ყველა პარტია 2020 წლისთვის დამოუკიდებლად გამოვა. იცით, რომ ახალი საარჩევნო სისტემა შემოდის. ზოგადად, 2020 წლის პარლამენტის არჩევნები იქნება საინტერესო.

თქვენ იცით, რომ ცვლილებები, რომლებიც დავაანონსეთ, ბევრ პარტიას მისცემს შესაძლებლობას, თუ მოსახლეობის მხარდაჭერა ექნება, პარლამენტში შევიდეს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად გამოვალთ და მივიღებთ მონაწილეობას. ჩვენთვის მთავარი ამოცანა იქნება, რომ კოალიციის გარეშე შევძლოთ ქვეყნის მართვა, ისე მოვიგოთ არჩევნები. რა თქმა უნდა, ამას სჭირდება ხალხის მხარდაჭერა. დაველოდოთ და ვნახოთ, — განაცხადა კახა კალაძემ.

# ოკუპირებულ აფხაზეთში წინააღმდეგობის მოძრაობა იქმნება

## „ოპოზიცია პოლიტიკური ტერორისთვის მზად უნდა იყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას „ინაუგურაციისა“ და არჩევნების შედეგების პირველ ინსტანციაში ამაოდ გასაჩივრების შემდეგ ოკუპირებული აფხაზეთის ოპოზიცია თავისი გეგმების დაწყობას შეუდგა.

აფხაზეთში ხაჯიმბას „პრეზიდენტობას“ მოსახლეობის უმრავლესობა არალეგიტიმურად მიიჩნევს. 8 სექტემბერს გამართული „საპრეზიდენტო“ არჩევნების შედეგის მეორე ტურის შემდეგ ქუჩაში აღშფოთებული ხალხი გამოვიდა. საზოგადოება დამარცხებულად გამოცხადებულმა ხაჯიმბას კონკურენტმა ალხას კვიცინიამ დააშოშმინა. მან ხალხს უთხრა, რომ სამართალს კანონიერი გზით მოძებნიდა.

მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. ცესკოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას შედეგი არ მოუტანია. პარტია „ამცახარა“ სხვებთან ერთად ოპოზიციის გარდაქმნასა და ბრძოლის გაგრძელებაზე საუბრობს.

ხაჯიმბას ოპონენტები აღნიშნავენ, რომ ოპოზიციამ ვერ გამოიჩინა გაბედულება, ვერ დაიცვა თავისი სიმართლე იმ დროს, როცა ხელისუფლება არ მოერიდა უკანონობას.

— ქვეყანას უკანონობის მორევს ვერ გავატანთ. უნდა შემოვიკრიბოთ ყველა, ვინც ჩვენსავით ფიქრობს. საჭიროა სტრუქტურული ცვლილებები „ამცახარას“ შიგნით, ასევე, დიალოგი



საზოგადოების ყველა ჯანსაღ ძალასთან ორგანიზებული წინააღმდეგობის მოძრაობის შექმნის მიზნით. ჩვენ უკანონობას უნდა დავუპირისპირდეთ, — აცხადებს ალხას კვიცინია.

მისი თქმით, აუცილებელია პირობების მომზადება დემოკრატიული „საპრეზიდენტო“ არჩევნებისათვის.

„ერთიანი აფხაზეთის“ ლიდერ სერგეი შამბას აზრით, ხაჯიმბასთან და უკანონობასთან ბრძოლა მომავალი პარლამენტიდან შეიძლება. ოპოზიციის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება. აუცილებელია ცვლილებები, რომლებიც პარლამენტს ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ გადააქცევს.

— გვეგონა, გამარჯვება ჯიბეში გვედო და მოვდუნდით. უნდა გავაქტიურებულიყავით და გამოგვეყენებინა საზოგადოების საპროტესტო განწყობები. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არჩევნების შედეგებზე ისტორია განსჯის, — ამბობს შამბა.

დეპუტატი რაულ ლოლუა თანამებრძოლებს აფრთხილებს. მისი ინფორმაციით, ოპოზიცია მზად უნდა იყოს პოლიტიკური ტერორისათვის. მისი განცხადებით, ხაჯიმბა არ არის აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის პრეზიდენტი.

მეორე ვადით სადავოდ არჩეულ ხაჯიმბას ლოლუა ადანაშაულებს იმაში, რომ იგი 2014 წელს გადატრიალების გზით მოვიდა ხელისუფლებაში. ხაჯიმბა ხალხს კორუფციასთან ბრძოლას ჰპირდებოდა, კორუფცია კი იზრდება; მოსახლეობას აღუთქვა შემოსავლების მომატება, შემოსავლები კი შემცირდა.

— „ამცახარას“ არა აქვს უფლება, თავის მოქმედებებში გაუბედავი იყოს, — აღნიშნავს ორგანიზაციის „ქალები პოლიტიკაში“ ლიდერი ირინა აგრბა.

მისი თქმით, ოპოზიციამ თავისი ზედმეტად ფრთხილი მოქმედებებით დაუშვა უკანონობა ხაჯიმბას, ცესკოსა და უზენაესი სასამართლოს მხრიდან.

რამდენიმე დეპუტატმა ხაჯიმბას „ინაუგურაციას“ ბოიკოტი გამოუცხადა.

— ავირჩიე დეპუტატი, რომელიც არ ალიარებს პრეზიდენტს, — ასე ეხმაურება ამ ფაქტს ერთ-ერთი ამომრჩეველი.

მოსკოვიდან მხარდაჭერილ რაულ ხაჯიმბას ჯერჯერობით ოპოზიციისთვის არ სცალია. მან ახალი მთავრობა უნდა დააკომპლექტოს.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმი მოსახლეობას 12 ოქტომბერს ახსენებს. 1999 წლის 12 ოქტომბერს მიიღეს აქტი „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ“.

აფხაზეთის რეჟიმის ვერსიით, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1200 წლის წინ წარმოიქმნა, როცა იშვა აფხაზეთის სამეფო. მასში გაერთიანდა რამდენიმე აფხაზური სამთავრო. აფხაზეთის სამეფოს გავლენა ვრცელდებოდა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოსა და ჩერქეზული წარმოშობის ყველა ხალხზე. 1810 წელს აფხაზეთი ავტონომიური სამთავროს უფლებებით შევიდა რუსეთის იმპერიაში. 1921 წლის მარტში ჩამოყალიბდა აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იმავე წლის დეკემბერში სტალინმა აიძულა აფხაზეთი, დაედო ხელშეკრულება საქართველოსთან. 1931 წელს აფხაზეთი ძალით გადააკეთეს ავტონომიად და შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში.

ისტორიის ინტერპრეტაცია ბოლო დროს ცხინვალის რეჟიმმაც გააქტიურა. მათ ეთანხმებიან ოკუპანტ რუსეთშიც, თბილისიდან კი ამგვარ განცხადებებზე პასუხები არ ისმის.

# მარიამ კუბლაშვილი: „თამთა თოდაძე შემთხვევის დღეს უკიდურესად ნასვამი იყო“

## ილია ჯიშკარიანს 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ქართული ოცნების“ დეპუტატ ილია ჯიშკარიანს აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობაში დადანაშაულებულ ჯიშკარიანს თამთა თოდაძესთან მიახლოება და სპეციალური ნებართვის გარეშე მოწმეებთან კონტაქტი აეკრძალა.

გამოტანილ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება თამთა თოდაძის უფლებადამცველი. მისი თქმით, ჯიშკარიანი ხელს შეუშლის ობიექტურ გამოძიებას.

თოდაძის უფლებადამცველების თქმით, ჯიშკარიანი გავლენიანი პოლიტიკოსია და მმართველი პარტიის ლიდერებთან ახლო ურთიერთობა აქვს.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მას უკვე ჰქონდა მოწმეებზე ზემოქმედების მცდელობა, ეს, შესაძლოა, ისევ განმეორდეს.

„საფარის“ ხელმძღვანელი ბაია პატარაია ამბობს, რომ საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც ჯიშკარიანის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა დასტურდება. უფლებადამცველები პროკურატურისგან შესაბამის ახსნა-განმარტებას მოითხოვენ.





ილია ჯიშკარიანის ადვოკატი, მარიამ კუბლაშვილი აცხადებს, რომ შემთხვევის დღეს დაზარალებული თამთა თოდაძე ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა.

როგორც კუბლაშვილი ინტერპრესნიუსთან საუბარში აღნიშნავს, მან სხვა სისხლის სამართლის საქმეებიც მოიპოვა, რომლებშიც თამთა თოდაძე ფიგურირებს.

ადვოკატი აცხადებს, რომ მას სერიოზული მტკიცებულებები აქვს, რომელთაც სასამართლოში წარადგენს.

– ერთ კითხვაზე გამცეს გამოძიებამ პასუხი – რატომ არ ჩაუტარეს თამთა თოდაძეს ექსპერტიზა? ის იყო უკიდურესი ალკოჰოლური თრობის ქვეშ. მაინტერესებს, ეს ფაქტი რატომ არის უგულებელყოფილი? გამოძიებასთან მეც უამრავი კითხვა მაქვს.

რატომ არ არის ექსპერტიზა ჩატარებული? ალკოტესტი სად არის? ხუთი მოწმე ადასტურებს, რომ იმ დღეს თამთა თოდაძე უკიდურესად ნასვამი იყო. ბოთლი ამოღებულია. ეს არის უმთავრესი. მაქვს მტკიცებულებები, თუ როგორ იქცევა ეს ადამიანი ნასვამ მდგომარეობაში. ამ საქმის გარდა, კიდევ ორ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს თამთა თოდაძე. საუბარია ალკოჰოლური თრობიდან გამომდინარე მის ქმედებებზე, – აცხადებს კუბლაშვილი.

მისი განმარტებით, შემთხვევის დღეს თავად ილია ჯიშკარიანი ნასვამ მდგომარეობაში არ ყოფილა.

– ჯიშკარიანს იმ დღეს 2 ჭიქაზე მეტი არ ჰქონდა დალეული, ფიზიკურად ვერ დალევდა, აკრძალული აქვს და ყოველდღე მაქსიმუმ 2 ჭიქას სვამდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, – აღნიშნავს ადვოკატი.

კუბლაშვილი ასევე აცხადებს, რომ საგამოძიებო მოქმედებები არასათანადოდ აწარმოეს.

– გამოძიებამ არასათანადოდ აწარმოა საგამოძიებო მოქმედებები. ოფისის დათვალიერება და ჩხრეკა კანონის დარღვევით არის ნაწარმოები. უფლებამოსილი პირის დასწრების გარეშეა ყველაფერი ამოღებული, – აცხადებს კუბლაშვილი.

ადვოკატის განცხადებას თამთა თოდაძე აბსურდულს უწოდებს.

როგორც ინტერპრესნიუსთან საუბრისას თამთა თოდაძე აცხადებს, არგუმენტები, რომლებზეც კუბლაშვილი საუბრობს, აზრს მოკლებულია.

– რა მტკიცებულებაზე საუბრობს ქალბატონი მარიამი, მე არ ვიცი. რაც შეეხება სხვა საქმეებს, თუ ეს გააჟღერა, ამაზე მე სასამართლოზე გავცემ პასუხს, რადგან არ შეესაბამება სიმართლეს. ამ ადამიანს აქვს აზრს მოკლებული არგუმენტები. მისი ბრალდებები არის სრული აბსურდი, – განაცხადა თოდაძემ.

# ლერი ლომაშვილი: „ნათლული იმიტომ მოვკალი, რომ ფულს არ მიბრუნებდა და სამსახურს მართმევდა“

თბილისში, ორხევში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულ 82 წლის მამაკაცს ლერი ლომაშვილს 11 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

პატიმრობას პროკურატურა ითხოვდა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა კიდეც.

ბრალდებულმა დაადასტურა, რომ კახა გაბრიელაშვილთან კონფლიქტი ვალს უკავშირდება. მისივე თქმით, გაბრიელაშვილი პერიოდულად ფულს სესხულობდა და შემდგომ არ უბრუნებდა. მეტიც, ლომაშვილი ირწმუნება, რომ მისი ნათლული მისთვის სამსახურის წართმევას ცდილობდა.

– განზრახ მკვლელობა არ ყოფილა, თორემ როგორც მივედი, ვესროდი. შელაპარაკება მომივიდა. ფეხში მოხვდა. წამოვედი მერე, სახლში მივდიოდი და გამომეკიდა. ჩემზე ძლიერი იყო. ამ დროს მოგვივიდა შელაპარაკება. ეს იყო ჩემი დანაშაული.

პატივს ვცემდი. გაჭირვებული იყო, ბინა დააგირავა. ტოტალიზატორში წააგო. ჩემთან ახლოს გადმოვიდა საცხოვრებლად. იქ გავიცანი და ვეხმარებოდი. ვეუბნებოდი, სახლიც აიშენე-თქო. ყველაფრის მასალა მივეცი. მერე დედის ოპერაციაზე მივეცი 400 ლარი. ბავშვს ტელეფონი არ აქვსო და 200 ლარი გამომართვა, შემდეგ – 700. ცოლს დასჭირდაო კიდევ 700.

მრეცხავად წავიყვანე ჩემთან სამსახურში, სადაც დარაჯი ვიყავი. ჩემი უფროსი კიევში წავიდა და იმის დისშვილები დარჩნენ უფროსად. მათთან კარგი ურთიერთობა დაიჭირა. მე ეს არ მომწონდა, რადგან ორჯერ მოჰპარა საბურავი. მათთვის უთქვამს, ლერი გაუშვით და მე მომეცით მაგის ხელფასიცო.

მე გამათავისუფლეს სამსახურიდან. ჩემი შვილი იყო ჩამოსული ამ დროს საქართველოში. რომ წავიდა, ვიფიქრე, დაველაპარაკები-თქო. მთელი ღამეები არ მეძინა. ეს როგორ გამიკეთა-თქო. მოვკიდე იარაღს ხელი და წავედი დილით და ფული მოვთხოვე, – თქვა პროცესზე ბრალდებულმა.



სასტიკი მკვლელობა 9 ოქტომბერს მოხდა. გამოძიების ინფორმაციით, 82 წლის მამაკაცმა, ლერი ლომაშვილმა, ნათლული, 42 წლის კახა გაბრიელაშვილი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. ნათლიის მიერ მოკლულ ახალგაზრდა მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა, მათ შორის ორი სასიკვდილო აღმოჩნდა. ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

წინასასამართლო სხდომა 2 დეკემბერს, 12:00 საათზე დაინიშნა.

ლერი ლომაშვილს 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# ხაშურში ნათია გოგალაძე ყოფილმა ქმარმა მოკლა



11 ოქტომბერს ხაშურში ტრაგედია დატრიალდა.

ირაკლი დეკანოიძემ ყოფილი ცოლი, 30 წლის ნათია გოგალაძე, მძიმედ დაჭრა. დაჭრილი ქალი ხაშურის კლინიკურ საავადმყოფოშია გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

კლინიკაში აცხადებენ, რომ საავადმყოფოში შეყვანისას პაციენტს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები აღენიშნებოდა. კლინიკის რეანიმაციული სამსახურის უფროსის, თეა კორკოტაძის ინფორმაციით, ჰოსპიტალში შეყვანისას პაციენტი კომატოზურ მდგომარეობაში იყო, ხოლო თავის არეში მიყენებული მრავლობითი ჭრილობები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა.

შემთხვევა ხიდგალმა უბანში მოხდა. თავდაპირველად მამაკაცმა მაღაზიაში, სადაც ნათია გოგალაძე იმყოფებოდა, ხელყუმბარა შეაგდო. ხელყუმბარა არ აფეთქდა, რის შემდეგაც ირაკლი დეკანოიძემ ყოფილ ცოლს რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ტერიტორიაზე ევაკუაცია განხორციელდა, ადგილზე გამნაღმველებიც მივიდნენ.

ახლობლების ინფორმაციით, 11 ოქტომბერს სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო, სადაც ირაკლი დეკანოიძესა და ნათია გოგალაძეს შორის განქორწინება ოფიციალურად გაფორმდებოდა. წყვილი 6 წელი ცალ-ცალკე ცხოვრობდა.

ეჭვმიტანილის ახლობლები კურიერთან საუბრისას აცხადებენ, რომ ყოფილ ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი გარდაცვლილი ქალის იტალიაში ყოფნის დროს დაიწყო.

წყაროს ინფორმაციით, ბავშვები, რომლებიც დედის საზღვარგარეთ ყოფნის დროს მამასთან ცხოვრობდნენ, დედას ხშირად ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ მამა მათ ცუდად ექცეოდა. იმავე წყაროს ცნობით, ამის გამო ქალს იტალიიდან დაბრუნება მოუწია, რის შემდეგაც ყოფილ მეუღლეს ბავშვებთან ურთიერთობას უზღუდავდა.

შსს-მ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის — 8 პირი, მათ შორის 5 ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ აქტიურ და უკომპრომისო ბრძოლას. ბოლო პერიოდში პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის 8 პირი დააკავა – მათ შორის 5 ნარკორეალიზატორია.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, თბილისში ერთი პირია დაკავებული. 1992 წელს დაბადებული ი.ქ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 1303 აბი და 16 ნატეხი, 2900 აშშ დოლარი და 100 ლარი.

გარდა ამისა, სამართალდამცველებმა, ასევე, ამოიღეს ბრალდებულის მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული, სარეალიზაციოდ გამზადებული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსის“ 40 აბი. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

ამავე დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი პირია რუსთავში დაკავებული. პოლიციამ, 1982 წელს დაბადებული ნ.მ.-ს პირადი ჩხრეკისას, 963 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღო. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკორეალიზატორთა ორგანიზებული ჯგუფი გამოავლინეს, მისი წევრები კი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს.

მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1972 წელს დაბადებული ზ.ბ., 1976 წელს დაბადებული ა.თ. და 1971 წელს დაბადებული ბ.კ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები სარეალიზაციოდ გამზადებულ ნარკოტიკულ საშუალებებს თბილისის სხვადასხვა უბანში, სპეციალურ სამალავებში ათავსებდნენ და მათი შეძენის მსურველებს, საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით, აღნიშნული ლოკაციების ამსახველ ფოტოებს უგზავნიდნენ.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების ავტომანქანის, საცხოვრებელი სახლების და პირადი ჩხრეკისას, 170 აბი „სუბუტექსი და „სუბოქსინი“, 19 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“, 7 შეკვრად დაფასოებული ფხვნილი, სავარაუდოდ, ე.წ. სირეცი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. ბიო, 6 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონის“ კრისტალები, „ჰეროინი“ და „მეტადონის“ ნატეხები – კრისტალებისა და ფხვნილის სახით ნივთმტკიცებად ამოიღეს.

კიდევ ერთი ნარკორეალიზატორი დააკავეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა. 1988 წელს დაბადებული ი.ც.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 1 შეკვრა ნარკოტიკული ნივთიერება „ამფეტამინი“, 8 შეკვრად დაფასოებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. ბიო და 2 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“.

გამოძიების მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ი.ც.-ს თბილისის სხვადასხვა უბანში, სპეციალურ სამალავებში განთავსებული ჰქონდა სარეალიზაციოდ გამზადებული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. ბიო. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თბილისში სხვადასხვა მისამართიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული, 19 შეკვრად დაფასოებული ე.წ. ბიო.

ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე დააკავეს ერთი პირი. პოლიციამ, 1991 წელს დაბადებული ვ.ჰ.-ს პირადი ჩხრეკისას, მისი ფეხსაცმელების ძირებიდან 500 გრამამდე „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტმა, ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, მოფრენის დარბაზში ერთი პირი დააკავეს. პოლიციამ 1959 წელს დაბადებული დ.დ.-ს ხელბარგის ჩხრეკისას 23 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ამოიღო. გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე და 262-ე მუხლებით მიმდინარეობს.

2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ამოღებულია: 26 კილოგრამი „ჰეროინი“, 2 კილოგრამი „კოკაინი“, 13500 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 23 კილოგრამი „მდმა“, 9,7 კილოგრამი ფსიქოაქტიური ნივთიერება და 1 კილო და 500 გრამი ფსიქოტროპული პრეპარატები.

# პოლიციამ მარნეულში მომხდარ დაჭრის ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1996 წელს დაბადებული ო.მ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული 10 ოქტომბერს, მარნეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე, ერთ-ერთი ჩაიხანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თან ახლდა 1984 წელს დაბადებულ რ.ა.-ს, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ორი პირი დაჭრა, თუმცა ამის შესახებ ო.მ.-ს პოლიციისთვის არ შეუტყობინებია.

სამართალდამცველებმა რ.ა. ცხელ კვალზე, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, ო.მ. კი მომხდარიდან მეორე დღეს დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

ო.მ.-ს მიმართ გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს დანაშაულის შეუტყობინებლობას იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე დანაშაული.

**მალამო „მენტორი პირველი“**

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

**სპრეი მენტორი 7**

გრიპის, ალერგიის, გაციების დროს, ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად მცენარეებისაგან შექმნილი საუკეთესო ანტიალერგიული სამკურნალო საშუალება სპრეი „მენტორი 7“. გამოყენების წესი: გავათავისუფლოთ ცხვირი არხებიდან გამონადენით, შევისხუროთ წამალი სპრეი ტუბის საშუალებით. აუმჯობესებს სუნთქვას, თანდათანობით მცირდება და წყდება გამონადენი ცხვირიდან. შეინახეთ გრილ ადგილას. ☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# თურქეთი: „277 ქურთი ტერორისტი გავანადგურეთ“

## მაკრონი: „თურქეთმა უნდა შეაჩეროს თავდასხმა ქურთულ ძალებზე“

თურქეთი პასუხისმგებელი იქნება, თუ ისლამური სახელმწიფო სირიაში ხალიფატს ხელახლა დაამყარებს.

ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა და თურქეთს მოუწოდა, შეაჩეროს სამხედრო თავდასხმა ქურთულ ძალებზე.



საფრანგეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ თურქეთი მილიონობით ადამიანს „ჰუმანიტარული კრიზისის რისკის ქვეშ აყენებს“.

თურქეთი სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამხედრო ოპერაციას ახორციელებს, რომელიც მიზნად ისახავს საზღვრისპირა რეგიონების ქურთი ძალებისგან გაწმენდასა და „უსაფრთხოების ზონის“ შექმნას.

ოპერაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სირიის აღნიშნული რეგიონიდან ჯარები გაიყვანა. ტრამპის ამ ნაბიჯს ქურთებმა, რომლებიც აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ ითვლებოდნენ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში, ზურგში დანის ჩარტყმა უწოდეს.

11 ოქტომბერს შედგა გაეროს გენერალური ასამბლეის უშიშროების საბჭოს სხდომა. განხილვის ძირითადი თემა სირიაში თურქეთის შეჭრა და ამ ქვეყანაში შექმნილი ვითარება იყო.

განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია დოკუმენტმა, რომელშიც ნათქვამია, რომ გაერო თურქეთის მოქმედებას გმობს.

რუსეთმა და აშშ-მ ეს დოკუმენტი დაბლოკეს. შედეგად ვერავითარი განცხადება ვერ იქნა მიღებული.

თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს ცნობით კი სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან თურქულმა ძალებმა 277 ქურთი ტერორისტის ლიკვიდაცია განახორციელეს.

ამავდროულად, თურქეთის თავდაცვის უწყება აცხადებს, რომ საპასუხო დარტყმის დროს 1 თურქი ჯარისკაცი დაიღუპა.

– თურქეთის შეიარაღებული ძალების ქვეითი ჯარისკაცი აჰმედ ტოფჩუ 10 ოქტომბერს ტერორისტების მიერ განხორციელებული შეტევის დროს დაიღუპა, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ორგანიზაცია „მსოფლიოს სასურსათო პროგრამის“ ცნობით, თურქეთის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან 70.000-მა ადამიანმა რეგიონი დატოვა.

გამოცემის ცნობით, ადამიანები ძირითადად ალ-ჰაშაჰესისა და ალ-რაქის პროვინციებს ტოვებენ.

გაერო ითხოვს ჩრდილოეთ სირიაში 650.000 ადამიანზე წვდომას, რომლებიც ორგანიზაციის სასურსათო დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი.

# ტრამპის ადვოკატთან დაახლოებული პირები დააპატიმრეს



დააპატიმრეს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადვოკატ რუდოლფ ჯულიანისთან დაახლოებული პირები პარსანი და ფრიდმანი.

ორივე სსრკ-ის ყოფილი მოქალაქეა. მათ კორუფციულ სქემებში მონაწილეობა და ამ ფულით ტრამპის საარჩევნო კამპანიის დაფინანსება ბრალდებათ.

ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არც ერთ დაკავებულს არ იცნობს. პასუხად ამერიკულ მედიაში გამოაქვეყნეს ფოტო, რომელზეც ტრამპი პარნასთან და ფრიდმანთან არის აღბეჭდილი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ბუბა ხოტივარმა გიო მგელაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა



საქართველოს კინოაკადემიის ახალმა პრეზიდენტმა, რეჟისორმა ბუბა ხოტივარმა ვიცეპრეზიდენტი გიო მგელაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა.

კინოაკადემიის ახალმა პრეზიდენტმა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გიო მგელაძეს განცხადება ოფიციალურად გაუგზავნა. გათავისუფლების მიზეზად სამსახურის თვითნებურად სისტემატური გაცდენა, კინოაკადემიის წევრებისა და თანამშრომლებისადმი მუქარა, საჯაროდ და პირადად ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება გახდა.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც საქართველოს კინოაკადემიის პრეზიდენტი ზაზა ურუშაძე იყო, გიო მგელაძის წინააღმდეგ კინოაკადემიის წევრების ნაწილი გაერთიანდა და მისი დასჯა მოითხოვა.

# მაია სტეფნაძე ტელეწამყვანი გახდა



პროდიუსერი მაია სტეფნაძე, რომელიც „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუსა“ და გია ჯაჯანიძის „სხვა რაკურსის“ პროდიუსერი იყო, ტელეწამყვანი გახდა.

მისმა საავტორო გადაცემამ „სარკეში მაია სტეფნაძესთან ერთად“ ტელეკომპანია ტვ პირველის ეთერში დაიმკვიდრა ადგილი.

ტელეშოუ სხვადასხვა აქტუალურ თემას ეძღვნება და მისი სტუმრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილი ადამიანები არიან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# თვითმარქვია მილიონერმა მდიდრული ქორწილის საფასური პატარძალს გადაახდევინა

ტაილანდის მკვიდრმა მდიდრული ქორწილი გამართა, მასში თანხა არ გადაიხადა და მიიმალა, პატარძალს კი უზარმაზარი ვალი დაუტოვა.

30 წლის ტაილანდელმა ქალმა, სახელად დამ, 50 წლის მამაკაცი, რომელმაც თავი ნათად წარუდგინა, მიმდინარე წლის მარტში გაიცნო. მან თავი მდიდრული ფირმის გენერალურ დირექტორად გააცნო, რომელსაც პარტნიორები ჰყავს ჰონგ კონგში. გაცნობის მეორე დღესვე მამაკაცმა გოგონას ხელი სთხოვა.

აპრილში წყვილმა ქორწინება ოფიციალურად დაარეგისტრირა და ნათესავებსა და მეგობრებს ქორწილის მოსაწვევები დაუგზავნა, რომელიც ტაილანდის პროვინციის ბურირამის ყველაზე მდიდრულ სასტუმროში უნდა გამართულიყო. საზეიმო ღონისძიება მაისში შედგა. სიძის მხრიდან ქორწილს მხოლოდ ათი მეგობარი ესწრებოდა. წვეულების დროს მან სტუმრებს აცნობა, რომ იძულებული იყო, სასწრაფოდ ჰონგ კონგში ჩასულიყო და თან გაიყოლა ქვითარი, რომელიც პატარძლისთვის მზითევის სახით იყო გამოწერილი.

პატარძლის ოჯახი სასიძოს მხოლოდ ერთხელ შეხვდა ნათესავის გასვენებაში. მაშინ ის მათ არწმუნებდა, რომ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის თაკსინ ჩინავატას მრჩევლად მუშაობდა. სასტუმროს მფლობელს, სადაც საქორწინო ცერემონია გაიმართა, მამაკაცმა უთხრა, რომ ტაილანდისა და ჰონგ კონგის ჩარტერული ავიარეისების პილოტად მუშაობდა.

პატარძლის დედის თქმით, საქორწინო ცერემონიის საერთო ღირებულებამ დაახლოებით 3,5 მილიონი ტაილანდური ბატი შეადგინა. ორგანიზატორების თქმით კი მამაკაცი მათ სამუშაოს შესრულებაში კიდევ 300 ათასი ბატის მიცემას შეჰპირდა.

სასტუმროს მფლობელებმა განაცხადეს, რომ ხარჯების დაფარვა პატარძალს ნაწილ-ნაწილ შეეძლება, თუმცა ღონისძიების ორგანიზატორებმა უკვე შეიტანეს სარჩელი სასამართლოში.



მოტყუებულმა გოგონამ დახმარებისთვის იურისტებს მიმართა და განქორწინებაზე განცხადება შეიტანა.

# ფლორიდაში 44-კილოგრამიანი რეკორდსმენი პითონი დაიჭირეს



ამერიკის ფლორიდის შტატის სამხრეთ ნაწილში მდებარე ბიგ-საიპრესის ეროვნულ ნაკრძალში 44-კილოგრამიანი ვეფხვისებური პითონი აღმოაჩინეს.

ოჯახურმა წყვილმა, სინტია დაუნერმა და ჯონათან ლოპესმა, 5,6 მეტრი სიგრძის მდედრი ქვეწარმავალი დაიჭირა. ისინი გველებზე მონადირეთა ჯგუფის წარმომადგენლები არიან, რომელიც ევერგლეიდსის რეგიონის ტერიტორიაზე პითონების დაჭერით არის დაკავებული.

ფლორიდის ბუნების რესურსების დაცვის კომისიის მონაცემებით, ეს ყველაზე დიდი პითონია, რომელიც კი ოდესმე ბიგ-საიპრესის ეროვნულ ნაკრძალში დაუჭერიათ, ხოლო მთლიანად შტატში სიგრძით მეორეა. ის რეკორდსმენზე მხოლოდ ათი სანტიმეტრით მოკლე აღმოჩნდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბორჯღალოსნებმა მსოფლიო თასი ბრძოლით დაასრულეს

**საქართველო-ავსტრალია 8:27**

ბორჯღალოსნებმა ავსტრალიის ნაკრებს დიდი ბრძოლა გაუმართეს, თუმცა უმეტესად დაცვაში მოუწიათ თამაში და მეტოქეს მისაღები სხვაობით, 8:27 ჩამორჩნენ.

ეს იყო ჩვენი გუნდის ბოლო მატჩი 2019 წლის მსოფლიო თასზე. ბორჯღალოსნებმა თავის მე-5 ტურნირზე გაიტანეს ყველაზე მეტი — 9 ლელო და პირველად მსოფლიო თასზე მონაწილეობის ისტორიაში თამაში ბონუს-ქულით (ურუგვაისთან) მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ ჯგუფში 5 ქულით მე-4 ადგილი დაიკავეს და 2023 წლის მსოფლიო თასის საგზურისთვის 2021-22 წლების რაგბი ევროპის ჩემპიონატზე მოუწევთ ბრძოლა.

ეს თამაში ბოლო იყო ნაკრების კვართით ლეგენდარული მამუკა გორგოძისთვის, რომელიც ბორჯღალოსნებს მსოფლიო თასზე გიორგი ცუცქირიძისა და მერაბ შარიქაძის ტრავმების შემდეგ საგანგებოდ, თითქმის 3-წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა.

მსოფლიო თასზე ეს მისი მე-15 მატჩი იყო, რითაც მერაბ კვირიკაშვილს გაუტოლდა და ქართველ მორაგბეებს შორის ამ მაჩვენებელში მასთან ერთად ლიდერობს.

არა მხოლოდ სანაკრებო, არამედ კარიერაში ბოლო მატჩი ჩაატარა გიორგი ნემსაძემ, რომელმაც 95-ე კეპი მოიხვეჭა.

ბორჯღალოსანთა კვართით 119-ჯერ ითამაშა და პირადი რეკორდი გააუმჯობესა დავით კაჭარავამ.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

მათიაშვილი, კვესელაძე, კაჭარავა (მჭედლიძე 57), შარიქაძე (მალაღურაძე 71), თოდუა, ხმალაძე, აფრასიძე (ლობჟანიძე 50); ნარიაშვილი (გოგიჩაშვილი 50), მამუკაშვილი (ბრეგვაძე 50), გიგაშვილი (მელიქიძე 50), ნემსაძე (გიორგაძე 60), მიქაუტაძე, სალინაძე (თხილაიშვილი 57), გორგოძე, გორგაძე.




# ბელგიამ სან მარინო არ დაინდო, ნიდერლანდებმა ბოლოსკენ იმარჯვეს

## C ჯგუფი

**ბელორუსი-ესტონეთი 0:0**

**მინსკი. დინამო**

მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ჯგუფის აუტსაიდერები. სანამ ნიდერლანდები, გერმანელები და ჩრდილოირლანდიელები ერთმანეთში ლიდერობისთვის არკვევენ ურთიერთობას, ესტონელებმა პირველი ქულა აიღეს.

პირველ ტაიმში ესტონეთი უკეთესი იყო, მეორეში ბელარუსი სჯობდა, მაგრამ ლემპტესმა გოლი არ გაუშვა. ერთადერთხელ შეცდა ბალტიისპირელთა მეკარე უხეშად, მაგრამ ამ მომენტში სწორედ ბელარუსებმა დაინდეს.

**ნიდერლანდები — ჩრდ.ირლანდია 3:1**

**როტერდამი. ფეიენოორდი**

0:1 მაგენისი (75), 1:1 დეპაი (80), 2:0 ლ.დე იონგი (90), დეპაი (90)

ეს ის შემთხვევაა, სადაც მხოლოდ ბოლო 20 წუთი უნდა ნახო. მანამდე გუნდები მოედანზე თითქოს არც ყოფილან. ნიდერლანდები ბურთს უმიზნოდ აკონტროლებდნენ, ხოლო ჩრდილოირლანდიელები მხოლოდ თავს იცავდნენ. ასეთ მოსაწყენ ფეხბურთს კი მომენტები არ აქვს.

თუმცა, ისე მოხდა, რომ გოლი სტუმრებმა გაიტანეს და ტაბლოზე 75-ე წუთი ენთო. თითქოს გაშვებულმა გოლმა გააბრაზა მასპინძლები და მხოლოდ ამის შემდეგ ათამაშდნენ ჩვეულ სტილში. ჯერ მემფის დეპაიმ გაათანაბრა, მაგრამ ნიდერლანდებს არც ეს აძლევდა ხელს, ამიტომაც კიდევ უფრო შეუტია და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ჯერ ლუკ დე იონგმა, ბოლოს კი იმავე დეპაიმ მასპინძლებს 3 ქულა გაუფორმეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიდერლანდები | 5 | 4 | 0 | 1 | 17-6 | 12 |
| 2.გერმანია | 5 | 4 | 0 | 1 | 17-6 | 12 |
| 3.ჩრდ.ირლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 8-7 | 12 |
| 4.ბელარუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| 5.ესტონეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-18 | 1 |

## E ჯგუფი

**ხორვატია-უნგრეთი 3:0**

**სპლიტი. პოლიუდი**

1:0 მოდრიჩი (5), 2:0, 3:0 პეტკოვიჩი (24, 42)

**გაძევება:** კლეინჰეისლერი (56, უნგრეთი)

უნგრეთის ნაკრებმა მეტოქეს პირველივე ტაიმში იმდენი საჩუქარი გაუკეთა, რომ წასაგებად განწირული იყო. ბალკანელებმა მხოლოდ ერთი ვერ გამოიყენეს, როდესაც პენალტი ააცილეს, სხვა შემთხვევაში მოდრიჩმა და პეტკოვიჩმა შესვენებამდე გადაწყვიტეს გამარჯვებულის ბედი.

**სლოვაკეთი-უელსი 1:1**

**ტრნავა. სიტი არენა**

0:1 მური (25), 1:1 კუცკა (53)

**გაძევება:** გიომბერი (88, სლოვაკეთი)

ორივე გუნდს შეეძლო, ესარგებლა უნგრეთის წაფორხილებით და სასურველ მე-2 ადგილზე მოკალათებულიყო. ამ ყველაფერთან თავიდან უფრო ახლოს უელსელები იყვნენ, რომლებმაც 25-ე წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში, თუმცა მე-2 ტაიმში მასპინძლებმა უფრო მონდომეს, გაათანაბრეს, ქულა აიღეს და, ჯერჯერობით სასურველ ადგილზე არიან.



**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 6 | 4 | 1 | 1 | 13-5 | 13 |
| 2.სლოვაკეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 3.უნგრეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 7-9 | 9 |
| 4.უელსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| 5.აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-13 | 1 |

## G ჯგუფი

**ავსტრია-ისრაელი 3:1**

**ვენა. ერნსტ ჰაპელი**

0:1 ზაჰავი (34), 1:1 ლაზარო (41), 2:1 ჰინტერეგერი (56), 3:1 ზაბიტცერი (88)

ორივე გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის პრეტენზიას აცხადებდა. ამიტომ მნიშვნელოვანი მატჩი იყო.

ზაჰავის გოლით ისრაელი დაწინაურდა და დიდი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მასპინძლები მალევე გამოფხიზლდნენ და ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში მოახერხეს.

მე-2 ნახევარი უკვე ავსტრიელების იყო — ჰონტერეგერმა და ზაბიტცერმა გუნდს 3 ქულა მოუტანეს და ავსტრიაც მე-2 ადგილზე მოკალათდა.

**ჩრდ.მაკედონია-სლოვენია 2:1**

**სკოპიე. ტოშე პროესკი**

1:0, 2:0 ელმასი (50, 68), 2:1 ილიჩიჩი (90პ)

ეს მატჩიც ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო იყო. თუ სლოვენია მოიგებდა, მე-2 ადგილზე რჩებოდა, ხოლო მაკედონიელები, ფაქტობრივად, ბრძოლას ეთიშებოდნენ. ამიტომაც იყო, მასპინძლები თავიდანვე ენერგიულად რომ შეუდგნენ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, შესვენების შემდეგ ელმასმა დუბლი შეასრულა და მასპინძლები კომფორტული სხვაობით დაწინაურდნენ. სლოვენიელებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში პენალტით სხვაობა შეამცირეს.

ამ ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა დაძაბულია და 3 გუნდს შეუძლია მე-2 ადგილისთვის ბრძოლა.

**ლატვია-პოლონეთი 0:3**

**რიგა. დაუგავა**

0:1, 0:2, 0:3 ლევანდოვსკი (9, 13, 76)

ჯგუფის ფავორიტისა და აუტსაიდერის შეხვედრა ისე დასრულდა, რომ პოლონელთა გამარჯვება ეჭვქვეშ არ დამდგარა. მათმა ლიდერმა ლევანდოვსკიმ ჰეთ ტრიკი შეასრულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პოლონეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 11-2 | 16 |
| 2.ავსტრია | 7 | 4 | 1 | 2 | 16-7 | 13 |
| 3.ჩრდ.მაკედონია | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| 4.სლოვენია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-7 | 11 |
| 5.ისრაელი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-14 | 8 |
| 6.ლატვია | 7 | 0 | 0 | 7 | 1-24 | 0 |

## I ჯგუფი

**ყაზახეთი-კვიპროსი 1:2**

**ნურსულთანი. ასტანა არენა**

1:0 ერლანოვი (34), 1:1 სოტირიუ (73), 1:2 იოანუ (84)

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი უკომპრომისო და დაძაბული გამოდგა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ორივე გუნდი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსს.

ჯერ მასპინძლები დაწინაურდნენ და ერლანოვის გოლით ტაიმიც მოიგეს, მაგრამ სოტირიუმ და იოანუმ კვიპროსელებს 3 ქულა მოუტანეს.

**ბელგია-სან მარინო 9:0**

**ბრიუსელი. მეფე ბოდუენი**

1:0 ლუკაკუ (28), 2:0 შადლი (31), 3:0 ბროლი (35სკ), 4:0 ლუკაკუ (41), 5:0 გრანდონი (43სკ), 6:0 ტილემანსი (45), 7:0 ბენტეკე (79), 8:0 ვერსჰარენი (84, პენ), 9:0 კასტანი (90)

ბელგიელთაგან ვისაც გაუხარდა, ყველამ გაიტანა. პრინციპში, სან მარინოელებითანაც ასე იყო — ვისაც გაუხარდა, ყველამ საკუთარ კარში გაიტანა.

საბოლოოდ ბელგიელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს და ჯგუფში ლიდერობა არ დათმეს.

**რუსეთი-შოტლანდია 4:0**

**მოსკოვი. ლუჟნიკები**

1:0 ძიუბა (57), 2:0 ოზდოევი (60), 3:0 ძიუბა (70), 4:0 გოლოვინი (84)

რუსეთის ნაკრებმა დიდი ნაბიჯი გადადგა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. შოტლანდიელებმა ელემენტარული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს და რუსებმაც მარტივად იმარჯვეს. ძიუბამ დუბლი შეასრულა, თითო გოლი ოზდოევმა და გოლოვინმა მიითვალეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 7 | 7 | 0 | 0 | 28-1 | 21 |
| 2.რუსეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 22-4 | 18 |
| 3.კვიპროსი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-7 | 10 |
| 4.ყაზახეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-11 | 7 |
| 5.შოტლანდია | 7 | 2 | 0 | 5 | 5-17 | 6 |
| 6.სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0-37 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მამაკაცს ტელეფონით თამაშის დროს ჩაეძინა და დაიღუპა



ტაილანდის ქალაქ ჩონბურიში მამაკაცს ტელეფონით თამაშის დროს, რომელიც დამტენ მოწყობილობაზე იყო შეერთებული, ჩაეძინა და დაიღუპა.

25 წლის სასტრა მონინ მრავალმოხმარებად ონლაინთამაშს რამდენიმე მობილური გაჯეტით ლოგინში მწოლიარე თამაშობდა. ერთ-ერთი მათგანი დასამუხტად იყო შეერთებული.

მეორე დღეს, დილით, მამაკაცის 57 წლის დედამ ის საწოლში გაუნძრევლად მწოლიარე მაშინ აღმოაჩინა, როდესაც სახლის დასალაგებლად მივიდა. ის ამტკიცებს, რომ მონინ იასამნისფერი იყო, ხოლო მის მარცხენა ხელთან ეგდო მავთული შავი ნაკვალევით. ქალმა მთელ სახლში დაუყოვნებლივ გათიშა დენი და პოლიცია გამოიძახა.

მან პოლიციელებს განუცხადა, რომ მისი ნათესავი ხშირად იძინებდა მობილური ტელეფონით თამაშის დროს.

პოლიციამ ცხედარი დაათვალიერა და დაასკვნა, რომ მას ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. მამაკაცის გარდაცვალების მიზეზად დენის დარტყმა დასახელდა.

# ქმარმა მეუღლის მანქანა საწვავით შეავსო და გამილიონერდა




ამერიკის მისურის შტატის ქალაქ სამიტ ლის მცხოვრებმა მეუღლის ავტომობილში საწვავი ჩაასხა და იმავე დროს ლატარიის მომგებიანი ბილეთიც შეიძინა.

სტივენ ნოინერი სახლიდან ცოლის მანქანით გაემგზავრა და გზად იძულებული გახდა, საწვავის შესავსებად ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურში შესულიყო.

— იქ მისვლა დაგეგმილი არ მქონია, — განაცხადა მამაკაცმა, — უბრალოდ, მანქანას ბენზინი გაუთავდა.

იქ ნოინერმა ლატარიის ბილეთიც შეიძინა რიცხვების 12-18-19-28-32-42 კომბინაციით.

ორი დღის შემდეგ მამაკაცმა გათამაშების შედეგები შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ 1,2 მილიონი დოლარი მოიგო. აღსანიშნავია, რომ ის იმ დღესაც მეუღლის მანქანით გადაადგილდებოდა.

— როდესაც ის სახლში დაბრუნდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა... მე მას ვკითხე: „რა, რამე ჩაიდინე? ჩემი მანქანა დაამტვრიე?“ მან კი მიპასუხა, რომ ჩვენ ჯეკპოტი მოვხსენით, — იხსენებს ნოინერის მეუღლე.

წყვილი მოგებული თანხის ნაწილით ბინის დაგროვილი დავალიანების დაფარვას აპირებს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თანაუგრძნობს ბატონ ვასილ კადენეცს მეუღლის

**ლარისა კადენეცის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი რაგბისტი; 2. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 3. რეცეპტის პირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს თან ახლავს; 4. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 5. დამკაბადონებელი სტამბაში; 10. გერმანელი ფილოსოფოსი; 11. მხატვრულ ფილმ „უძინართა მზის“ კინორეჟისორი; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 13. იტალიური რესტორანი; 16. ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. მილანის „ინტერის“ მწვრთნელი; 23. მტრედის ბარტყი.

**თარაზულად:** 6. რომელიმე ენის ფორმების შემსწავლელი გრამატიკის ნაწილი; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. პოემა „სტუმარ-მასპინძელის“ პერსონაჟი; 9. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 22. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 24. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 25. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 26. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ნაბადი; 2. ლემა; 3. ჰერალდიკა; 4. ასაჰი; 5. ბოზბაში; 8. რინერი; 9. დისკოთეკა; 12. იამოტო; 14. ბუკერი; 16. აბაშა.

**თარაზულად**: 1. ნაბელლავი; 6. ნეგრესკო; 7. ბოდრუმი; 9. დინარი; 10. რიწა; 11. ბენიასა; 13. დუბაი; 15. სატირა; 17. იამაიკა; 18. გოთიკა; 19. ფიორდი; 20. ბალანსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პრიკაზი; 2. ბრიუსელი; 3. ოტომანები; 4. ლიოტარი; 5. კომპონენტი; 10. მაკეტი; 11. მუშტაიდი; 12. რონდელი; 13. ბენიასა; 16. ყანდარელი; 17. საგურამო; 19. ასფიქსია; 21. პეტრა; 23. ნორმა.

**თარაზულად**: 6. პრიორიტეტი; 7. ჯილღაო; 8. პიექსი; 9. ნადირაძე; 14. ბელკანტო; 15. კანდელაკი; 18. ბედია; 20. ფაეტონი; 22. ფანდური; 24. ჰენესი; 25. ფედერერი; 26. ჰამამი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9701 |
| ევრო | — 3.2778 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.7328 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.5902 |

## ამინდის პროგნოზი 12 ოქტომბერი








## 8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

### თამარს უამბო დედამა

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი






## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

### ბაზალეთისა ტბის ძირას

წიგნი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## აჩი ფურცელაძე და ლოლა წერეთელი ერთობლივ კონცერტს გამართავენ



მომღერლები აჩი ფურცელაძე და ლოლა წერეთელი ერთობლივ კონცერტს ერევანში გამართავენ.

12 ოქტომბერს ერევნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „შანსონში" მომღერლები მსმენელის წინაშე სპეციალური პროგრამით წარდგებიან.

ლოლასა და აჩის რეპერტუარშია როგორც ქართული, ასევე რუსული სიმღერები, რომელსაც ათასობით მსმენელი ჰყავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ქალიშვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ კარგი ფიგურაც შევინარჩუნო და ქმართანაც კარგი ურთიერთობა მქონდეს?

– ენაზე კბილის დროულად დაჭერა უნდა ისწავლო.

•••

მამაკაცი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, მომიტევეთ და ხომ ვერ მეტყვით, რას მიირთმევენ ქალიშვილები საუზმეზე?

– წარმოდგენა არ მაქვს.

– ჰოო! ასეც ვიფიქრე!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– საყვარელო, მაპატიე და უნდა გამოგიტყდე, როდესაც შენთან სექსით ვარ დაკავებული, სხვა ქალებზე ვფიქრობ.

– ნაძირალა ხარ! სხვათა შორის, როდესაც მე სხვა მამაკაცთან ვარ სექსით დაკავებული, მხოლოდ შენზე ვფიქრობ!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ჩვენს ქალიშვილს უფლება არ მისცე, რომ იმ კაცს გაჰყვეს ცოლად, იქნებ მისთვის ვინმე უფრო ჭკვიანი ვნახოთ.

– მე მის ასაკში ასევე რომ მემსჯელა, დღემდე გაუთხოვარი ვიჯდებოდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ტიბო კურტუა: „ფსიქოლოგიური პრობლემები არ მაქვს"



მადრიდის რეალის მეკარე ტიბო კურტუამ უარყო ჭორები იმის შესახებ, რომ მას ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და მოედანზე ამიტომ არ გამოდის.

კურტუას თქმით, მას კუჭის ტკივილები აწუხებდა და უთამაშებლობის მიზეზიც სწორედ ეს იყო:

– რაც ჩემზე იწერება, ყველაფერი არასწორია და თავს მშვენივრად ვგრძნობ. მინდა, ვუთხრა ჟურნალისტებს, რომ შეწყვიტონ ჩემ შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელება. ტკივილები მაწუხებდა, რაც მოვიშორე და მზად ვარ სათამაშოდ. მინდა, გულშემატკივრები გავახარო და რეალთან ერთად ბევრი შეხვედრა მოვიგო.

## მიკ მაკარტი: „საქართველოში მოსაგებად ჩამოვედით"



ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ განაცხადა, რომ ის საქართველოს დიდ პატივს სცემს, მაგრამ მისი ნაკრების მიზანი მხოლოდ მოგება იქნება.

მაკარტის თქმით, შეხვედრის ბედს პატარა ეპიზოდები გადაწყვეტს:

– გთხოვთ, სწორად გამიგოთ, საქართველოს ნაკრებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა, რადგან სამი ქულა ძალიან გვჭირდება. რამდენიმე ფეხბურთელი დაგვაკლდება, მაგრამ ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის.

## როჯერ ფედერერი შანხაის მასტერსს გამოეთიშა



შვეიცარიელი ლეგენდა როჯერ ფედერერი შანხაის მასტერსს გამოეთიშა.

მან ალექსანდრ ზვერევთან წააგო მეოთხედფინალში ანგარიშით 3:6, 7:6, 3:6.

ზვერევმა მატჩი შესანიშნავად ჩაატარა, ხოლო ფედერერი მისთვის უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებდა და საბოლოოდ ვერ შეძლო ახალგაზრდა მეტოქესთან გამკლავება. ტურნირს ასევე გამოეთიშა შარშანდელი გამარჯვებული ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელმაც, თავის მხრივ, ახალგაზრდა ბერძენ ჩოგბურთელ ციციპასთან წააგო.

ჯოკოვიჩმა შარშანდელი ქულები ვერ დაიცვა, რის გამოც მან, შესაძლოა, რეიტინგში პირველი ადგილი დაკარგოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ფიტარეთის მონასტერს გადახურავენ

„საყდრისის კომიტეტის" წევრები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელთან ერთად ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასათვალიერებლად ჩავიდნენ.

„საყდრისის კომიტეტმა" ფიტარეთში გადასახური სამუშაოების დროში გაჭიანურების გამო პირადად მიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და პროცესში ჩართვა მოსთხოვა. აქტივისტების თქმით, გასულ წელს ჩატარებული გადასახური სამუშაოების პირველი ეტაპის გარკვეული ნაწილი უხარისხოდ იყო შესრულებული, რის გამოც ტაძარში წვიმის წყალი კვლავ ჩაედინებოდა.

ოქტომბრის ბოლომდე მონასტრის მარცხენა ნაწილის გადახურვა დასრულდება, თუმცა, „საყდრისის კომიტეტის" მოთხოვნით, მხატვრობის დაცვის მიზნით სახურავის დანარჩენი ნაწილიც დროებით გაიხურება.

ფიტარეთის XII საუკუნის მონასტერში წყალი წლების განმავლობაში ჩადიოდა, რამაც უნიკალური ფრესკები, ფაქტობრივად, განადგურების პირას მიიყვანა.

„საყდრისის კომიტეტის" ინიციატივით შარშან ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსის სამწლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, ხოლო მას შემდეგ, რაც აქტივისტებისთვის ადგილობრივი ბერებისგან ცნობილი გახდა, რომ „მონასტრის იატაკი ხშირად სავსეა ფრესკების ჩამონაშალით", წელს, ივნისში, „საყდრისის კომიტეტმა" დამატებით მიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, დაუყოვნებლივ დაწყებულიყო კედლის მხატვრობისა და მონასტრის ქვის კვლევა.

პირველადი შედეგების მიხედვით მონასტრის მხატვრობა უმძიმეს მდგომარეობაშია, ხოლო კედლებზე მიმდინარეობს ქვის დაშლის პროცესი, თუმცა კონსერვაცია მხოლოდ მონასტრის სრულად გადახურვის შემდეგ იქნება შესაძლებელი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „საყდრისის კომიტეტმა" დააყენა საკითხი გადასახური სამუშაოების შესრულების ვადების კორექტირებაზე.



## დადიანების სასახლის თანამშრომლებმა აქცია გამართეს



ზუგდიდში დადიანების სასახლის თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს.

ისინი სახელმწიფოსგან შესაბამის ყურადღებას მოითხოვენ და ხელფასების გაზრდა სურთ.

აქციის მონაწილეებმა არ გამორიცხეს, რომ შესაძლოა დადიანების სასახლე ვიზიტორებისთვის დაიკეტოს, რადგან მათი შრომის ანაზღაურება ძალიან მიზერულია.

სასახლის თანამშრომლებმა არაერთხელ მიმართეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, თუმცა უშედეგოდ, ახლა კი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას სთხოვეს, მათი ხელფასებით პირადად დაინტერესდეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 12 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **კურო** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **თევზები** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

### 13 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ჭადრაკის წინამორბედი ინდური მაგიდის სათამაშო; 4. ზანგური, ლირიკული სასიმღერო-საცეკვაო მუსიკა; 5. სამხრეთ ამერიკის მთიანეთში ბინადარი დიდი მტაცებელი ფრინველი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთება; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც შეიცავს რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში; 15. „სამანიშვილის დედინაცვალის" პერსონაჟი; 17. გადასახადებისგან გათავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 18. მალალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ქართული ჟურნალი.




შეადგინა თ.კოპალეიშვილმა